კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ედუარდ შევარდნაძე

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
11 აგვისტო, 2003 წელი
№212
(4591)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

მთა

## თუშეთში გზა საკრალური ცნებაა — სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგებელი



— თუშეთს გაუმარჯოს! — ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

**თუშეთი საქართველოს თვალმარგალიტია, გაფრთხილებაც ისეთივე სჭირდება, როგორც ჭეშმარიტ თვალმარგალიტს.**
**ძვირფასო თუშებო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ.**

**ედუარდ შევარდნაძე.**

ეს სიტყვები ჩაწერა გუშინ, 10 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელიც ომალოს მუზეუმის თანამშრომლებს შემოულიათ.

მეშვიდედ ავიდა. მეშვიდედ 1975 წლიდან. პირველად სულ ახალგაზრდა კაცი მისულა და ინტერნატის მუშაობას გასცნობია.

დადებითად შეუფასებია.

გზის გაყვანა უთხოვიათ თუშებს მაშინ, დაპირებია. 2 წლის შემდეგ დაწყებულა მშენებლობა — ძალიან ძნელი საქმე: უგზოობაში გზის გაყვანა.

აქაურები ამტკიცებენ: თუშეთი სამნაირი ბილიკია — ქალებისთვის, ცხენებისთვის, კაცებისთვისო.

ყველას თავისი გზა აქვს, კაცები ყველა გზაზე დადიანო.

დადიოდნენ და ყოველთვის ვერ აღწევდნენ დანიშნულების ადგილამდე.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

### ისწავლიან საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას

ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება დაიწყება. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალში 100 პედაგოგის გადამზადება უკვე მიმდინარეობს.

### სახლ-მუზეუმს კაპიტალურად არემონტებენ

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში კაპიტალური რემონტი დაიწყო. სარემონტო სამუშაოებს ფოთის პორტი აფინანსებს.

### აღინიშნა ტანკისტთა დღე

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გუშინ ქართველ ტანკისტთა დღე აღინიშნა.

გუშინვე ვაზიანის ბაზაზე მდებარე სკვერში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 1992-93 წლებში სატანკო ბატალიონის გმირულად დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი გაიხსნა.

### სამწლიანი ვადა ამოეწურათ

საგადასახადო სისტემის თანამშრომლებს თანამდებობებზე ყოფნის სამწლიანი ვადა გუშინ ამოეწურათ. ისინი მომავალი კვირიდან თანამდებობრივ მოვალეობას დროებით შეასრულებენ.

„სისტემაში ატესტაციების ჩატარების უფლება უკვე გვაქვს, მაგრამ ატესტაცია-გამოცდების ჩატარებას სერიოზული მომზადება სჭირდება. ვფიქრობთ, ახალი ვაკანტური ადგილებისთვის კონკურსი მომავალი წლის იანვარში გამოვაცხადოთ“, — განუცხადა „ინტერ-პრესს“ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმა.

ინფორმაციები მოგვაწოდა „ინტერ-პრესმა“.

თვალსაწიერი

## გულაჩუყებულთა დოყლაპიობით გამამაცებული კოჭლი ვაცი,

### ანუ 80-ათასიანი კაბალა, ბეიკერი, ღია წერილი და... სმოგი

— იქნებ, ის მაინც მითხრათ, ბაღჩეულში რა შედისო, — უკანასკნელ კითხვას უსვამს აბიტურიენტის უვიცობა-გონებაჩლუნგობით იმედგადაწურული პროფესორი გამოსაცდელს, რათა, სწორი პასუხის შემთხვევაში, სამიანი მაინც დაუწეროს.

— თუ ბოსტნის კარს კარგად არ მივხურავთ, — შეიძლება კამეჩიც შეჯლიგინდესო, — იყო პასუხი.

ეს „წვერებიანი“ ანეკდოტი იმის ნათელი დასტურიც გახლავთ, რომ ყველაფერი ახალი მართლაც კარგად დავიწყებული ძველია, და — დღევანდელი მიმოხილვის სათაურის ამხსნელიც.

— ჩვენი სტრატეგიული სიმდიდრე „ეი-ი-ესს“ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მივყიდეთ და მასთან დადებული საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ხელშეკრულების გასაფორმებლად უცხოელ ექსპერტებს 80 ათასი დოლარიც გადავუხადეთო, — რიხით და ამაყად ამბობდა საკუთარი ნათქვამ-ნაქმნარის სიმართლეში დარწმუნებული მაღალჩინოსანი ამ 4-5 წლის წინათ საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომის ტრიბუნიდან.

ვაი, კიდევ ერთხელ დაუფასებელო შინაურო მღვდელო, თორემ ამგვარ „ხელშეკრულებას“, სრულიად დაუცველ-მოღიავებულად რომ ტოვებდა ჩვენი „ბოსტნის“ კარებს, ვთქვათ, ოფშკვითის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში გახსნილი ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტიც ხომ გააფორმებდა „ეი-ი-ესთან“... სულაც 80 ლარად!

ჰოდა, „სად იყავი, სად იყავი მაშინ“, „გრინკარტიდან“ მოქალაქეობამიღებულო, უფალო ოპოზიციონერო, შენს თანამოაზრე „ოპოზიციონერებთან“ ერთად ახლა რომ გაჰყვირით, არიქა, ვიღუპებითო? თქვენ ხომ მაშინ საქმის სათავეებთან იდექით?

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

ჯორჯ ბუშმა აშშ კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში თურქმენეთში ემიგრაციის თავისუფლების ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა.



ესპანეთში მზეზე 57 გრადუსი სიცხეა, რომლის მსხვერპლთა რიცხვი მატულობს. ქვეყნის საავადმყოფოებში წევს მზის დარტყმით დაზარალებული 25 პაციენტი, რომელთაგან ოთხი კომაშია.



კალიფორნიის გუბერნატორობას ტერმინატორს შეეცილებიან დღეგრძელი ქალბატონი და პორნოვარსკვლავი. საერთოდ კი, არნოლდ შვარცენეგერს, რომელმაც შაბათს ოფიციალურად შეიტანა დოკუმენტები მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, 125-მდე მეტოქე ეყოლება.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თვალსაწიერი

# გულაჩუყებულთა დოყლაპიობით გამამაცებული კოჭლი ვაცი,

### ანუ 80-ათასიანი კაბალა, ბეიკერი, ღია წერილი და... სმოგი

(პირველი გვერდიდან)

აა, იმ დროს სხდომის პრეზიდიუმში იჯექით და ნათელი მომავლის პერსპექტივით გულაჩუყებული ყველაზე მეტად უკრავდით ტაშს ორატორს?

კი, მაგრამ თქვენი მწვანე (სინორჩის თვალსაზრისით ვამბობ) და ნაზი ხელის გულები მაინც არ გეცოდებოდათ?

იქნებ სჯობდა, თქვენი ქვეშევრდომი „მეველეებისთვის“ ფხიზლად გედევნებინათ თვალი, რათა მათი უყურადღებობით მოღიავებულ „ბოსტნის“ კარში თავისუფლად არ გაევლო...

არა, იმ აბიტურიენტის მიერ ნახსენებ კამეჩს კი არა, თუნდაც ქეციან ცხვარს, რომელიც სულ მალე ჩვენივე დოყლაპიობით იმდენად მოღონიერდა და მოსუქდა, რომ რიგითი ქართველები ეპატარავა და ქვეყნის მთავრობასაც დაუწყო რქენა?

იქნებ არ იცოდით ამის შესახებ არაფერი? პრესის პუბლიკაციებში მოყვანილ კონკრეტულ ფაქტებს მაინც არ კითხულობდით, თუნდაც ისეთებს, „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში — **„ამერიკული ბიზნესის კოჭლი ცხვარი“** — რომ არის ჩამოთვლილი?

თუ ასეა, მართლაც მეცოდებით, რადგან არაფერია იმ წყევლაზე ცუდი — შენი არ გაცოდინოს და სხვისი არ შეგასმინოსო!

უკაცრავად, როგორ? ახლა უკვე ხვდებით და იცით ყველაფერი? მაგრამ, როგორც თავადაც ამბობთ, უკვე რომ გვიანაა?

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს?

გეთანხმებით, მაგრამ იქნებ თქვენც დამეთანხმოთ მეც და იმ ხალხურ სიბრძნესაც დაუჯეროთ, რომ თქმა მართლაც იოლია, ქნა კი — ძნელი.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „ეი-ი-ესმა“ თავისი „გაისწორა“, პირში საკვებად უვარგისი ჩალა გამოგვავლო და თქვენი წყალობით ჩვენს კარმოღიავებულ ბოსტანში „რაო ეესი“ შემოაჯლიგინა...

ბიზნესი ყველგან ბიზნესია. მისი უმთავრესი მიზანი ყველგან მოგების მიღებაა, რომელსაც, მარტოოდენ ჩვენი ლამაზი თვალების გამო, ერთ თეთრასაც არავინ მოაკლებს.

მაშ, რით ავხსნათ ანატოლი ჩუბაისის მიერ თბილისში ჩამოსვლისთანავე განცხადებული — თქვენი ენერგოტარიფები რუსეთისაზე მაღალია და მას ორ-სამ თვეში, ალბათ, შევამცირებთო?

რაო, ვითომ ავნებს რუსულ ფაფას ზედმეტი ერბო?

არა მგონია, რომ მასაც თქვენებრ აუჩუყდა გული, უფალო „ოპოზიციონერებო“, ქართველების გასაჭირით, და ამადაც ამბობს უარს ზედმეტ შემოსავალ-მოგებაზე!

ჩემი აზრით, საქმე ის არის, რომ თქვენი შუამავლობა-მეშვეობით საქართველოში შემოყვანილი „ეი-ი-ესი“ ენერგიას ძირითადად სწორედ რუსეთიდან ყიდულობდა (ცხადია, იმაზე ბევრად იაფად, ჩვენ რომ გვახდევინებდა), საკუთარი მოგების გასაზრდელად იმდენს ამატებდა, რამდენიც სურდა (ვინ იყო დამშლელი?) და მაინც სანახევროდ ჩაბნელებულ თბილისელებს ტყავს გვაძრობდა.

ახლა კი „რა ოეესი“ ორ კურდღელს დაიჭერს: „ეი-ი-ესის“ მიერ რუსეთიდან ნაყიდ ელექტროენერგიაზე შუამავლობისთვის წამატებული თანხის ნაწილით ტარიფს შეგვიმცირებს, რითაც თბილისელთა გულს მოიგებს, ნაწილით კი თავის ადრინდელ მოგებასაც გაზრდის.

აი, ეს გაგვიკეთა შუამავალმა „ეი-ი-ესმა“, რომელიც საქართველოში სწორედ თქვენი შუამავლობა-მეშვეობით შემოვიდა, უფალო „ოპოზიციონერებო“, და წყლიდანაც მშრალად ამოვიდა.

„წყალში ჩაგიყვანს და წყალს არ დაგალევინებსო, ციცო („ეი-ი-ესი“) ისეთია“.

ჰოდა, დავრჩით კიდეც ხახამშრალები თქვენი გამოისობით, თქვე გულაჩუყებულო დოყ... უკაცრავად, „ოპოზიციონერებო“!

საკმაოდ ლოყებღაჟღაჟები კი ბრძანდებით, მაგრამ რომ არც იმდენად, გაწითლება არ დაგეტყოთ? თუ არც აპირებთ გაწითლებას, რა ჩვენი ბრალიაო, და ხელს კვლავ მთავრობისკენ იშვერთ? კი, მაგრამ იმ მთავრობას თქვენვე არ ნიშნავდით, თქვენს ხელში არ იყო უმრავლესობა, რომლის მეშვეობითაც თქვენთვის სასურველი, მაგრამ ხალხის აზრით, უვარგისი თუ არა, თანამდებობისთვის მოუმწიფებელი ხალხი მაინც გაგყავდათ მინისტრად? ეს ხომ თქვენი გადაწყვეტილებით ხდებოდა და ვერაფერს დააბრალებთ მაშინ უკვე არარსებულ მხედრიონსა თუ გვარდიას?

* * *

გასულ კვირას პარლამენტმა, როგორც იქნა, მოკლა ის „დათვი“, რომლის ტყავის გაყოფისთვისაც ერთმანეთს თავ-ყბას ამტვრევდნენ დეპუტატები.

ბეიკერისეული ვარიანტით ოპოზიციისთვის გამოყოფილი 9 ადგილიდან 3 „აღორძინებას“ ხვდა წილად, 2 — „მრეწველებს“, თითო-თითო კი — დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს.

მე თუ მკითხავთ, სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან „აღორძინება“ სწორედ ყველაზე ძლიერი და, თუ წინა არჩევნების შედეგებით ვიმსჯელებთ, რიგით მეორე ოპოზიციური პარტიაა. იგივე ითქმის „მრეწველებზეც“. პარლამენტში ამჟამად მოქმედი დანარჩენი ოპოზიციური პარტიები კი, ყველამ ვიცით, „მოქალაქეთა კავშირის“ ფესვებიდან ამოზრდილი ნორჩი ყლორტებია, რომლებმაც, წესით, უფროს-უმცროსობის დაუწერელი კანონები უნდა დაიცვან.

თუმცა, უნდა დაიცვან კი არა, სწორედ ეს „მწვანე“ ყლორტები ყვირიან ყველაზე მეტს — სამთავრობო ბლოკმა ახლად დასაკომპლექტებელ ცესკოში უმრავლესობა მოიპოვა, რადგან „აღორძინება“ და „მრეწველები“ მისი ოპოზიცია კი არა, სინამდვილეში პარტნიორები არიან. ნაღდი ოპოზიცია და, საერთოდ, ოპოზიციური მოძრაობის ჭიპი კი მხოლოდ ჩვენ ვართო.

მართლაც შეუცნობელია გზანი „მწვანე“ ოპოზიციისანი...

* * *

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ მაილსისადმი გაგზავნილმა ღია წერილმაც.

რატომ? მასში ხომ არაფერია ნათქვამი ისეთი, რომელიც იოტისოდენად მაინც მიაყენებდა ჩრდილს იმ სტრატეგიული პარტნიორობის სურვილსა და კურსს, რომელიც ამ ჭეშმარიტად ზესახელმწიფოსთან ჩვენს ქვეყანას აკავშირებს და რომლის უთუოდ განგრძობა-გაღრმავებისათვის ჩვენი მუდმივი მზადყოფნა, გაწეული დახმარებისთვის მადლიერებასთან ერთად, ასე გამოკვეთილად იგრძნობა ამ ბარათში?

ან რა არის მიუღებელი და გაუგებარი წერილის ღლესავით ნათელ ბოლო ფრაზაში, რომ: „საქართველოს ბედი მაინც საქართველოში უნდა გადაწყდეს და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს გარედან კარნახისა და პოლიტიკური თუ ფინანსური ზემოქმედების გარეშე“?

იქნებ სწორედ ეს ბოლო ფრაზაა მავანთა მუცლის გვრემის მიზეზი, იმ პოლიტიკოსთა აფორიაქების გამომწვევი, ყველგან და ყოველ ნაბიჯზე რომ „უშვებდნენ“ და აშავებდნენ ჩვენს ქვეყანას, ამერიკის საელჩოში რომ გარბოდნენ, არიქა, გვიშველეთ, ხელისუფლება გვდევნის (?!) და პოლიტიკური თავშესაფარი გაგვიხერხეთო?

წამებულთა გვირგვინიღა აკლდათ!

არა მგონია, საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი ამერიკის შეერთებული შტატები იყოს, თუმცა მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგრამ უმთავრესად მაინც ის, რასაც თეთრი სახლიდან ეტყვიან.

თეთრ სახლს კი ღია ბარათზე ხელმომწერნი ამ წერილში მადლობის მეტს არაფერს ეუბნებიან.

* * *

ცუდი მაგალითი გადამდებიაო, ნათქვამია. ჰოდა გადავედოთ კიდეც პარლამენტში დეპუტატთა მიერ ერთმანეთის დაუზოგავი ცემა-ტყეპის უბრალოდ ცუდი კი არა, უზნეო და მავნე მაგალითი გარეთ მყოფ მათს თანამოაზრეებს, რომელთაც სივრცე ეპატარავათ და, თავიანთი „ბოსებისგან“ განსხვავებით, ქუჩებში გამართეს „სპექტაკლები“. ლეიბორისტთა ოფისთან მომხდარი ხელჩართული ბრძოლა მაქვს მხედველობაში.

ოპოზიციამ კი, ცხადია, ყველაფერი ეს კვლავ ხელისუფლებას დააბრალა უცერემონიოდ.

ვაი, ბედკრულო საქართველოვ, რა გეშველება!

— ხელი გაანძრიოს და, ეშველება, — თითქოს უფალივით ჩაგვძახიან მავანნი.

ჰოდა, ჩვენს მაგივრად თვითონ ანძრევენ კიდეც. თანაც მარტო ხელით კი არ მუშაობენ, გონებასაც ატანენ ძალას.

ერთნი 900 დღეში გვპირდებიან ქვეყნის აშენება-დამშვენებას (ისემც დაუმშვენდეთ ლამაზი ცხვირ-პირი), საწარმოთა ამოქმედებას, ხალხის დასაქმებას და მომავალში ყოველგვარი უბედურებისგან დაზღვევას. მეორენი ჯერ კიდევ მუშაობენ საამისო პროგრამაზე, თავდაპირველად ადამიანთა მცირე წრეს წარუდგენენ მას, მერე კი, მისი მეშვეობით, ალბათ ჩვენც აგვაშენებენ.

ვნახოთ, ალილო და, ხვალეო.

* * *

ახლახან ინტერნეტში წავაწყდი ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც პარიზის ხელმძღვანელობამ ამ პაპანაქებაში დედაქალაქში მძღოლებს 30 კილომეტრზე მეტი სიჩქარით ქროლვა აუკრძალა: მაღალი ტემპერატურისას მანქანების გამონაბოლქვი ატმოსფეროში ზრდის ოზონის ოდენობას, რაც დიდი კონცენტრაციისას ტოქსიკური გაზია, მეტისმეტად აბინძურებს ჰაერს და ჯანმრთელობისთვის მავნე სმოგს ქმნისო.

რა ვიცი, ისეთ მანქანებს, უკან გამონაბოლქვის შავ და მძიმე შლეიფს რომ ტოვებდნენ, მე პარიზში არ წავწყდომივარ.

ეს, თუ გინდათ, თბილისში უნდა ნახოთ, სადაც ყოველ მეორე თუ არა, მესამე მანქანა მაინც, როგორც მე „მოვნათლე“, საბურავებზე შეყენებული ასფალტის დამამზადებელი ქარხანაა, ისე ბოლავს.

ჰოდა, იქნებ ამ „წვრილმანს“ მაინც მივხედოთ, პატივცემულო პარლამენტარებო და „ოპოზიციონერებო“. ჩვენს ჯანმრთელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს მავნე გამონაბოლქვები ხომ მარადმწვანე ნარგაობებსაც ანადგურებს, რომელთა გამოც ასე გტკიოდათ და გტკივათ გული?

თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ვერაგი სმოგი ძვლებსაც კი შლის და, ნაზ ტვინს რას უზამს!

**რუსლან რუსია.**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო — ქ. თბილისი

### თენგიზ (რობიზონ) გიგაურის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი საშემსრულებლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი-მომღერალი **თენგიზ (რობიზონ) გიგაური** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო — ქ. თბილისი

### მანანა ამანათაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქალთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციისა და ხაშურის რაიონის ქალთა საბჭოს წევრი **მანანა ამანათაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 9 აგვისტო — ქ. თბილისი

### ალექსანდრე დათუაშვილის მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ქართული არმიის აღმშენებლობასა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **ალექსანდრე დათუაშვილი** დაჯილდოვდეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**



**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო პრემიის „ოქროს მარჯვენის“ ლაურეატი, პროფესორი რევაზ ჭანიშვილი.**

### ქვეყნისთვის

აშკარად შეიგრძნობა არჩევნების მოახლოება, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოვლენის არცთუ ჯანსაღი ფორმებით — მაგალითად, პოლიტიკური პარტიების თუ ძალების ხელჩართული ბრძოლებით, ცხადია, „წესების გარეშე“, რის შემსწრეც გასულ კვირას გავხდით. ამასთან, ნებისმიერი საკითხი განიცდის მკვეთრ პოლიტიზებას, იმის მიუხედავად, ეხება ის პოლიტიკას თუ არა.

რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა მოჰყვება „ეი-ი-ესის“ „რაო ეესით“ ჩანაცვლებას, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ენერგეტიკის სფეროს შეფერხებული მუშაობა სიკეთის მომტანი არ იქნება.

დიდი აჟიოტაჟი, ვნებათაღელვა მოჰყვა აშშ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისადმი რიჩარდ მაილსისადმი გაგზავნილ ღია წერილს, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი მეც ვარ. გასაკვირია, — ნუთუ ქართველებისთვის მიუღებელია ის, რომ „საქართველოს ბედი საქართველოში უნდა გადაწყდეს და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს გარედან კარნახისა და პოლიტიკური თუ ფინანსური ზემოქმედების გარეშე“?!

### ჩემთვის პირადად

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის პროფესორიც მე ვარ, ერთი კვირის წინათ დამთავრდა მისაღები გამოცდები. სასიამოვნოა, რომ ყველა სპეციალობაზე, ასეთი კი ათობითაა, სერიოზული კონკურსი იყო. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ქორეოგრაფიის ფაკულტეტის აბიტურიენტთა რაოდენობამ, — ერთ ადგილზე შვიდი ახალგაზრდა მოდიოდა.

გასულ კვირას იტალიასა და საბერძნეთში გამართული გასტროლების შემდეგ, მათთვის ჩვეული წარმატებით დაბრუნდნენ „სუხიშვილები“.

საერთოდ, ყველას წარმატება მახარებს, მაგრამ გამორჩევით — ბავშვების, ახალგაზრდების. კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა სპეციალურმა სარეკომენდაციო კომისიამ, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვარ, რამდენიმე საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლს გაუწია რეკომენდაცია უცხოეთში გასამგზავრებლად. ისინი წარმატებით დაბრუნდნენ სხვადასხვა ფესტივალებიდან, რაც ჭეშმარიტად მახარებს. გასულ კვირას კიდევ ერთ კოლექტივს — ქუთაისის ფოლკლორის სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედს“ ერთსულოვნად მივეცით სარეკომენდაციო წერილი, რომელიც ბრწყინვალედ წარსდგა კომისიის წინაშე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მთა



# თუშეთში გზა საკრალური ცნებაა — სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგებელი

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო პრეზიდენტო, — ეტყვის თუშეთობაზე ედუარდ შევარდნაძეს ვენერა თურქიაშვილი, — მამაჩემი უგზოობას შეეწირაო. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ის უბედური თორღვას უღელტეხილზე ზვავმა დაიტანა.

მადლობა უთხრა გზის გაყვანისათვის: დაობლებას გადარჩნენო ბავშვები.

გზა თუშეთში მარტო დასახლებული პუნქტების დამაკავშირებელი კომუნიკაცია არ არის, საკრალური ცნებაა — სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგებელი.

გზაზე მკვდარი ჩიტი უნახავს მგზავრს: საწყალი თუშივით გზაში მომკვდარაო.

გზის გაყვანა ომალომდე ედუარდ შევარდნაძემ ითავა. 1977 წელს დაიწყო კიდეც ეს მშენებლობა. არც კომუნიზმის დიადი მშენებლობა ეთქმოდა, არც ხუთწლედის დამკვრელური ობიექტი. ეროვნული საქმე იყო.

ორი წლის მერე კვლავ ჩამოსულა: უნახავს, დაუხედავს, შეუმოწმებია.

— 20 კილომეტრი ფეხით გამოიარაო, — გაიხსენებდა დროული კაცი გუშინ ომალოში.

შევარდნაძე იხუმრებს: ყოველ წელს ხუთ-ხუთ კილომეტრს უმატებენო. თორმეტიდან, დაიწყეს, ოცამდე ავიდნენო.

მიდიოდნენ თურმე, მძიმედ მიდიოდნენ.

— ეს რა ჯოჯოხეთის გზააო, — უთქვამს ცეკას ერთ-ერთ მდივანს მაშინ.

გაიხსენებს ამას იმ სტუმრობის ერთი მონაწილე იოსებ ომაიძე:

— გამიკვირდა! ეს გზა ჯოჯოხეთის კი არა, სამოთხისა იყო — თუშეთისკენ, სამოთხისკენ მიმავალი გზა.

1981 წელს უკვე მანქანებით ამოვიდნენ ომალოში პირველი თუშეთობის მონაწილენი. 22 წლის წინათ იყო ეს.

ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა პატივი, ყოფილიყო მაშინდელ მრავალრიცხოვან სტუმართა შორის. და იქ, იმ დროს, ზღვაზე ხიდად გადებული გლეხი-კაცის პურ-მარილზე, ხინკალზე, კაცო, და არაყზე ვანკა პაპამ — მელაიძე ივანემ ედუარდ შევარდნაძე მიიპატიჟა.

ეს მიპატიჟება, რომელიც ყოველ წელს მეორდებოდა და რომელსაც სტუმარ-მასპინძელი ყოველთვის ახალი და ახალი, მოულოდნელი პასაჟებით ამდიდრებდა, რიტუალად იქცა: უამისოდ, აბა, რა თუშეთობაა.

**ხინკალს ჩაგიყრის ძმობილი**
**შავგიორგაის ცხვრისასა,**
**თრიალეთს ნასუქებია,**
**არა ჰგავ ფშავის მთისასა.**

რას ჰგავდა, ვერ გეტყვით, მაგრამ შავი ფქვილისა იყო და — ძალიან გემრიელი.

ჰოდა, ვანკა პაპა სტუმარს ეგრე იოლად ვერ გაუშვებდა ხინკლიან გობშედგმულ სუფრიდანა.

თავიდან, ყველა წესის დაცვით, სიტყვა დაუთმო სტუმარს ივანე მელაიძემ.

— თუშეთს გაუმარჯოს, — ამბობს ედუარდ შევარდნაძე, — აყვავება, ყველა ოჯახის ბედნიერება ვუსურვოთ, კარგად იყავით.

— გმადლობთ, ბატონო ედუარდ.

შევარდნაძე არყიან ჭიქას არ მოსვამს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს გადააწვდის:

— ეს დალევს...

— აბა არ დალიოს! ეს თუშეთია...

— რას უზამ? — გავიოცებ არამკითხე...

— რას ვუზამ?.. თუშების წინაპრების ნათქვამია კიდევ: ჯერ სამის არდამსხმელის დედაო და მერე — არდამლევისა... სამ-სამი უნდა დავლიოთ.

ედუარდ შევარდნაძე პრინციპული თამადის ზომიერების კალაპოტში დაბრუნებას ცდილობს.

— დიდი მადლობა. მერე გამოგივლი.

— არ გამომივლი... სამ-სამი სადღეგრძელო უნდა ვთქვა.

— შენ — სამი, მე — სამი, არ გათავდება დილამდე, — ეუბნება სტუმარი.

მასპინძელმა, თითქოს ვერ გაიგოო:

— მერე სხვებიც მიაყოლე. (სადღეგრძელო თუ შემოგველევაო. მასშტაბური კაცია).

ბიძინა სონღულაშვილი პრინციპულად ეთანხმება და ვანკა პაპა მეორე სადღეგრძელოს ამბობს:

— ვინც იქიდან კეთილი თვალი გამოგაყოლა, კეთილად იმგზავრეთო, აქ კეთილად შეგხვდა, ყველა იმ კეთილ, პატიოსან ადამიანს გაუმარჯოს... აბაჰ!.. ხინკალი მიირთვი!

— პირველ რიგში, ვინც აქ დაგვხვდა, თქვენ გაგიმარჯოთ, — ამბობს პრეზიდენტი.

— კეთილი, — ეთანხმება მელაიძე, თან ხინკალი მიირთვით. და წუხს:

— ჩობან-ყაურმა ვერ გავაკეთე...

— აი, იმიტომაც გაბრაზებული ვარ, — პოზიციას იმაგრებს შევარდნაძე.

და თქვენ გგონიათ ვანკა პაპამ უკან დაიხია?

— მეც გაბრაზებული ვარ, რომ პირობა ვერ შემისრულე.

— რომელი პირობა?

— რომელი პირობა, რომ ... — ხმას დაუწევს, — რომ დამპირდი, ერთი ცოლი როდემდე უნდა იკმარო, მეორე უნდა მოგიყვანოო.

— კაცო, მეორე ცოლი ჩემთვის ვერ მომიყვანია...

— თუშეთში წვიმები რომ დაიწყება, გამოგიგზავნიო. ორთანო თბილად იქნებიო.

— გოგოებო, მომეხმარეთ, — იმედგადაწურული ედუარდ შევარდნაძე, ამას რომ ვეღარ გააჩერებდა, მიმართავს თუშის ქალებს, — მომეშველეთ.



ორთა გასაუბრება: ივანე მელაიძე (ვანკა პაპა) და ედუარდ შევარდნაძე.

ვანკა პაპა ხვდება, რომ ასეთი დაჟინების მიუხედავად არაფერი გამოუვა და თემას შეცვლის:

— გაცივდა ხინკალი, მიირთვით, მიირთვით.

სადღეგრძელო მაშინ გასამდება, როცა ედუარდ შევარდნაძე ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს იქაურებს, ივანე მელაიძეს კი ეტყვის:

— კიდევ ორმოცდაათ წელს, ყოველ წელიწადს დავლიოთ ერთმანეთის სადღეგრძელო.

— მოდი, თქვენს საქმეს ჩვენი სალოცავები შეეწიოთ.

— ამინ!

ემშვიდობებიან ერთმანეთს:

შევარდნაძე:

— ესე იგი, ერთი ქალი ჩემზეა.

ვანკა პაპა:

— ჰოო, ჰოო!

— მაგრამ მეუღლეს ეგ არ უთხრა.

— არა... ისაც ელოდება, ცოტა შეღავათი მიეცეს.

— არ იღლები, კაცო?! რა ამბავია!

მთელს ამ გაბაასება-კაფიობას ფონად თავაწყვეტილი სიცილი მისდევდა. თუმცა რას გეუბნებით, თქვენ თავადაც ხომ იცინოდით.

დე-პო-ლი-ტი-ზე-ბულად.

ამ ხასიათზე დავამთავროთ. ორშაბათიდან შემოგვენთებიან პარლამენტარი პოლიტიკოსები და დასცემენ საბრძოლო კარვებს..

დღეს კი, მოდით, საქართველოს პრეზიდენტს მოვუსმინოთ, ომალოში რომ იტყვის სიტყვას.

**ძვირფასო მეგობრებო,**

**სიტყვაკაზმულობაში თუშებს როგორ შეეჯიბრები, ან როგორ მოუგებ, ეს გამორიცხულია, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა გითხრათ.**

**ყველაზე სასიხარულო დღეა ის, როცა საშუალება მაქვს თუშეთში ამოვიდე.**

**მინდა გითხრათ, რომ ისტორიულად მოკლე დროში ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ თუშეთში მოსახლეობა მომრავლებულიყო, ხოლო, როცა საშუალება იქნება, ტურისტებისთვისაც პირობები შეიქმნება, და იმ სოფლებში, სადაც თითო-ოროლა კაცი დარჩა, იქაც დაბრუნდება ხალხი.**

**თუშები საქართველოს მეციხოვნეები იყვნენ, არიან და იქნებიან. შემთხვევითი არ არის, რომ აქ მესაზღვრეთა სპეციალური ნაწილია. მჯერა, რომ ცოტა ხნის შემდეგ თუშები ჩადგებიან სამსახურში, გახდებიან მესაზღვრეები, დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი აქ სახლსაც ააშენებს და თუშეთი უფრო გამრავლდება. ასე მჯერა და ასე იქნება.**

**ჩემი მეხსიერებიდან არ ამოვარდება ის დღეები, როცა მართლაც ფეხით მოვდიოდი 18-20 კილომეტრი. მართლაც მეამაყება, რომ გზის აშენებაში, მთის ბართან დაკავშირებაში წვლილი შევიტანე.**

**ყველას სახელი მინდა გავიხსენო, ბევრნი არიან ისინი, მაგრამ ყველასგან გამოვყოფდი ბატონ ვიქტორ გოცირიძეს, მეტრომშენის ხელმძღვანელს, უბრწყინვალეს ინჟინერს, მშენებელს, რომელიც ვალდებული არ იყო, სხვა გეგმები ჰქონდა, მაგრამ მოჰკიდა ხელი ამ მშენებლობას და არ მოეშვა, სანამ არ დაამთავრა. ღმერთმა აცხონოს მისი სული, და კეთილი სიტყვებით მოვიგონოთ ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმეში გვეხმარებოდნენ.**

**ახლა ბატონ ბორის სარალიძეს უნდა ვუპასუხო. ჯერ ერთი, ის ტრაქტორი, თუ შეპირდი, დროზე მიეცი. ზამთარში ერთი ტრაქტორი დაუმატე და ჩემი სახელით — კიდევ ერთი. წეღან ბორისმა თქვა, რომ ძალიან ძნელია მთებში გზების გაყვანა. ვითომ ამერიკა აღმოაჩინა. ბარში ხომ მეც დავაგებ გზას. ეს გზა, ბორის, სანამ შენ დეპარტამენტის უფროსი ხარ და, მე მგონი, კიდევ კარგა ხანს იქნები, მერე ვისაც დატოვებ შენს მემკვიდრედ, იმასაც დაუბარე, რომ ეს გზა უნდა იყოს სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში და არა მარტო ვერტმფრენით, არამედ იმ გზითაც უნდა ამოდიოდნენ. ეს ჩვენი სიხარული იქნება.**

**დღევანდელი დღე მინდა მოგილოცოთ, მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ ომალოს ციხეს ასე უვლით და პატრონობთ. გულით გავიხარე, როცა დავინახე, რომ სამი ციხე აღდგენილია. ცოტა სამუშაო კიდევ დარჩა, თუ რამეში ჩემი დახმარება იქნება საჭირო, აუცილებლად დაგეხმარებით. დაგეხმარებით იმაშიც, რომ ამ სოფლებს შორის კავშირგაბმულობის საშუალებები როგორმე მოგვარდეს, რომ ერთმანეთთან საუბარი შეგეძლოთ. მივარდნილ სოფელში მარტო ერთი ოჯახი როცაა, ცოტა ძნელია ცხოვრება. კავშირგაბმულობის საშუალებები უნდა გამოვიყვანოთ, რომ შეგეძლოთ ერთმანეთს შეეხმიანოთ და გამოელაპარაკოთ.**

**კიდევ ერთხელ მადლობა თბილი სიტყვებისათვის, კარგი დახვედრისათვის, იმისათვის, რომ ჩემთვის უკვე ტრადიციად იქცა თუშეთში ამოსვლა. მინდა ისიც გითხრათ, რომ საქართველოში ტურიზმი ისეთი ტემპებით ვითარდება, რომ 2-3 წელიწადში თუშეთს უკვე ძალიან ბევრი მნახველი ეყოლება. სადაც არის ტურიზმი, იქ არის ფული, შემოსავლები, ივსება ბიუჯეტი და ყველა კარგად ცხოვრობს.**

**გამგებელმა ბრძანა, 20 ტონა რძეს, ხორცს და რას არ ვამზადებთ და კახეთს ვუგზავნითო. კახელებო, როგორ ჭამთ ამდენ ხორცს, რა ამბავია ეს?! ცოტა დაზოგეთ და თბილისშიც გამოაგზავნეთ.**

**კარგად იყავით, დიდი მადლობა, ბედნიერებას გისურვებთ.**

* * *

სანამ მეორე წერილს შემოგთავაზებთ თუშეთიდან, ერთ კარგ ამბავს გეტყვით: ამ ზამთარს (ზამთარს ვუსვამ ხაზს!) ომალოში პირველი ბიჭი დაიბადა.

გუშინ პრეზიდენტმა ომალოს ეკლესიაში ბიჭი მონათლა — ლევან იჭირაული.

დანარჩენზე — შემდგომ.

(დასასრული იქნება).

**არმაზ სანებლიძე,**

„სრ“ სპეც. კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თანამედროვე წარსული

საქართველოს რესპუბლიკა

№ 212, ორშაბათი, 11 აგვისტო, 2003 წელი.

## გენიოსი და ბოროტება

# მძიმე გამარჯვება

### რაც უფრო საგანგაშო ხდებოდა ვითარება, იგი უფრო და უფრო მშვიდდებოდა

3 ივლისს, ნაშუადღევს, იგი მივიდა გორკის ქუჩაზე მდებარე ცენტრალურ ტელეგრაფში და პირველად გამოვიდა ხალხის წინაშე. თავისი მიმართვა ხალხისადმი ბელადმა ასეთი გულშიჩამწვდომი სიტყვებით დაიწყო: „ამხანაგებო! მოქალაქეებო! დებო და ძმებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის მებრძოლებო! მოგვმართავთ თქვენ, ჩემო მეგობრებო". ასეთი სიტყვებით მიმართავდა იგი თავის ვაჟებსაც ფრონტზე, სადაც მათი გაგზავნა ბრძანა ომის დაწყების პირველივე დღეს. უფროსმა ვაჟმა იაკობმა, რომელიც მტრის მიერ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, უკანდახევის შესახებ ბრძანებას ასეთი პასუხი გასცა: „მე სტალინის შვილი ვარ და უკან დახევის უფლებას არ მივცემ ბატარეას!" ბრძოლის შემდეგ იგი ტყვედ ჩავარდა სამ მილიონ წითელარმიელთან და მეთაურებთან ერთად, რომელთა შორის 1941 წლის ზაფხულში ბუგზე, დნეპრსა და ვიაზმასთან დამარცხებული გენერლებიც შედიოდნენ. მისი მეუღლე, იულია კი, რომელიც მტრის დახმარებაში იყო ეჭვმიტანილი, დააპატიმრეს და გადაასახლეს, როგორც სამხედრო ტყვის ნათესავი.

ისევე როგორც ომის დაწყებამდე, ომის დროსაც სტალინი ღამეს „ახლო აგარაკზე" ათევდა. კრემლის კაბინეტის გარდა მან გაიჩინა ახალი რეზიდენცია კიროვის ქუჩის №37 სახლში, საჰაერო თავდაცვის შტაბის შენობის მახლობლად. ეს რეზიდენცია განათავსეს ღობის მიღმა ერთსართულიან სახლში, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა მეცენატსა და ვაჭარს სოლდატენკოს. ამ სახლში ომამდე საბავშვო სახლი იყო გახსნილი. საავიაციო თავდასხმების დროს უმაღლესი მთავარსარდალი



ტოვებდა რეზიდენციას და გადადიოდა საჰაერო თავდაცვის შენობაში, საიდანაც მიწისქვეშა გასასვლელით მიდიოდა მეტრო სადგურ „კიროვსკაიამდე". იქ, ბომბებისათვის მიუწვდომელ სიღრმეზე, მოქმედებდა მთავარსარდლის ბანაკის კავშირგაბმულობის კვანძი. იქვე იყო სტალინის, გენერალური შტაბის უფროსის, მთავარსარდლის ბანაკის წევრების კაბინეტები. გერმანელებმა ჩინებულად იცოდნენ, თუ სად ცხოვრობდა სტალინი. ბომბებს უშენდნენ „ახლო აგარაკსა" და კრემლს, სადაც დაცვის პოლკის მრავალი მებრძოლი იღუპებოდა. მძლავრი ფუგასური ბომბი ჩამოვარდა საჰაერო თავდაცვის შტაბის შენობაზე, მოკლა ოფიცერი და ჯარისკაცი.

ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის მოსკოვის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ვიაზმასთან ჯარები კვლავ მოხვდნენ გიგანტურ გერმანულ „ქვაბში", სადაც ჯარისკაცები ნელ ცეცხლზე იღუპებოდნენ, მაგრამ მაინც არ აძლევდნენ მტერს კრემლისაკენ გაჭრის საშუალებას.

— დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, — გაიგო დასავლეთის ფრონტის გარღვევის დღეს ფრონტის ხაზიდან გამოწვეულმა გენერალმა, — გერმანელებმა გაარღვიეს თავდაცვის ხაზი ვიაზმასთან ჩვენი თექვსმეტი დივიზია ალყაში მოაქციეს. რა ვიღონოთ? რა მოვიმოქმედოთ? დასავლეთის ფრონტის სარდალს კონევს კი, რომელმაც მარცხი იგემა, თავის თავზე მესამე პირში ასეთი რამ უთხრა:

— ამხანაგი სტალინი მოღალატე არ არის, ამხანაგი სტალინი არ არის გამცემი, ამხანაგი სტალინი პატიოსანი ადამიანია, მთელი მისი შეცდომაა ის, რომ ზედმეტად მიენდო კავალერისტებს, ამხანაგი სტალინი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ გამოასწოროს შექმნილი მდგომარეობა.

კავალერისტები იყვნენ სამოქალაქო ომის მხედართმთავრები, რომლებმაც ვერ შესძლეს ბრძოლა ტანკებისა და თვითმფრინავების წინააღმდეგ. კავალერიაში დაიწყო სამსახური ჟუკოვმაც, რომელიც კონევის ნაცვლად გახდა დასავლეთის ფრონტის სარდალი, მაგრამ გამარჯვებამდე ქალაქმა დეკემბერში გადაიტანა უდიდესი ტრაგედია, რომელიც 15 ოქტომბერს დაიწყო. იმ დღეს გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შესრულება ფაქტობრივად დაიწყო გენერალმა ვასილევსკიმ. უმაღლესმა მთავარსარდალმა მას უბრძანა თავისთან დაეტოვებინა რვა ოფიცერი ოპერატიული მართვისათვის. თავდაცვის სახალხო კომისარიატი ვოლგაზე გაემგზავრა. რატომ დატოვეს მოსკოვში სულ რვა ოფიცერი და ერთი გენერალი? თვითმფრინავებში გენერალურ შტაბს სულ ცხრა ადგილი გამოუყვეს სასწრაფო ევაკუაციისათვის. იმ დღეს გამოიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება № 801 „სსრ კავშირის დედაქალაქის ევაკუაციის შესახებ". სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად ამ დოკუმენტში ფრჩხილებში მონიშნული იყო კიდევ ერთი: — „ამხანაგ სტალინის ევაკუაცია მოხდება ხვალ, ან მოგვიანებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე". თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ეს დადგენილება, ისევე როგორც სხვები, საიდუმლო იყო, რადგან ეხებოდა „ამხ. სტალინს". მაგრამ შუბის ხალთაში დამალვა ვერ მოხერხდა. და ცნობამ ბელადის მომავალი ევაკუაციის შესახებ გაჟონა კრემლის კედლებს გარეთ. მოხდა არა მარტო უბრალო ევაკუაცია, არამედ დაიწყო პანიკა. ადამიანები მიაწყდნენ ვაგზლებს, მატარებლებს, აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზატკეცილებს, გზებზე აბრუნებდნენ მანქანებს, რომლითაც უფროსობა გარბოდა, არბევდნენ მაღაზიებს.

მესანგრეებმა დანაღმეს „ახლო აგარაკი", დაცვამ გაიტანა წიგნები კუიბიშევში, რომელიც ასრულებდა დედაქალაქის დუბლიორის როლს. აგარაკი ზუბალოვოში ააფეთქეს. სათადარიგო ლიანდაგზე იდგა ორთქლმავალი და სამთავრობო მატარებელი. ომისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რომანში აღწერილია, თუ როგორ მივიდა სტალინი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების მიერ დაცულ ამ ლიანდაგთან და ღრმად ჩაფიქრებული დიდხანს გადიოდა ვაგონების გასწვრივ, წყვეტდა ჰამლეტის დილემას: დაეტოვებინა, თუ არ დაეტოვებინა მოსკოვი? ეს, რა თქმა უნდა, გამონაგონია. ასეთი „ევაკუაცია" რომ განხორციელებულიყო, მაშინ, ალბათ, დაკარგავდა ძალას სტალინის მაგნეტიზმი მის გარემომცველ პირებსა და ხალხზე და, ღმერთმა უწყის, მაშინ რა მოხდებოდა. თუმცა, ისიც მართალია, რომ ცენტრალურ აეროდრომზე მოგუგუნე ძრავებით იდგა ოთხი „დუგლასი", რომლებიც ელოდნენ აფრენის შესახებ ბრძანებას. ასეთი ბრძანება დაუყოვნებლივ რომ შეესრულებინა, „პოლკოვნიკი გრაჩოვი უკვე იჯდა სტალინის პირადი თვითმფრინავის კაბინაში" — ამტკიცებდა ბელადის ერთ-ერთი პირადი მცველი.

მაგრამ ბელადი „ახლო აგარაკზე" იმ ღამითაც დარჩა დასაძინებლად, მიწვა ფლიგელში, რომელშიც იდგა სამთავრობო ტელეფონი. მან ბრძანა განენაღმათ ეს დიდი სახლი, რაც სასწრაფოდ მოსულმა მესანგრეებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს კიდეც. მაგრამ დიდი თეატრი, კრემლის შენობა კვლავ დანაღმული იყო. ინაღმებოდა ქარხნები და ხიდები, ყველაფერი, რისი ხელში ჩაგდებითაც შეეძლო გაეხარა მტერს.

იმ დროს სტალინმა გამოიჩინა საოცარი თავშეკავება და ტაქტი. რაც უფრო საგანგაშო ხდებოდა ვითარება, იგი უფრო და უფრო მშვიდდებოდა, გენერლებთან და სახალხო კომისრებთან ურთიერთობისას მეტ მოთმინებას, გულითადობას, ოპტიმიზმს ავლენდა, და ეს ხდებოდა იმის მიუხედავად, რომ ფრონტიდან სულ უფრო შემაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. ფრონტის ხაზი ყოველდღიურად სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა მოსკოვს, ქალაქს, რომელშიც საალყო წესები იყო შემოღებული. გერმანელების მიერ დაკავებული კრასნაია პოლიანადან ცენტრალურ აეროდრომამდე სულ რაღაც 20 კილომეტრი რჩებოდა, წითელ მოედნამდე კი — 27. კრასნაია პოლიანას ბორცვებიდან აპირებდნენ გერმანელები კრუპის ფირმის მძიმე ზარბაზნების ცეცხლის დაშენას კრემლისათვის, რომლებიც მათ სპეციალურად შემოიტანეს პლატფორმებით გერმანიიდან. იმ დღეებში გერმანული გაზეთები წერდნენ, რომ მოსკოვი საარტილერიო ბინოკლიდან მოსჩანდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა (კრასნაია პოლიანას ეკლესიის სამრეკლოდან, რომელზეც მე სპეციალურად ავედი, რათა შემემოწმებინა ეს ვერსია, მზიან ამინდშიც კი, არ მოჩანს ქალაქის გარეუბნები, რადგან ისინი ჰორიზონტს მიღმა რჩება). მოჩანს მხოლოდ ოსტანკინოს კოშკის შპილი. მაგრამ 1941 წელს ხომ არც ეს ნახევარკილომეტრიანი კოშკი და არც რაიმე სხვა ასეთი მაღლივი ნაგებობა მოსკოვში არ არსებობდა). დამწუხრებულ როკოსოვსკისთან საუბრის დროს, რომელიც იცავდა ფრონტის იმ უბანს, მოსკოვთან ყველაზე ახლოს რომ მდებარეობდა, სტალინმა სრული ნდობა გამოუცხადა მას და არ დაატეხა თავს ლანძღვა-გინება, როგორც ეს კონევის შემთხვევაში მოხდა, რომელიც კინაღამ დახვრიტეს კიდეც ვიაზმასთან განცდილი სასტიკი მარცხის გამო.

ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევის კითხვას: „ამხანაგო სტალინ, შევძლებთ მოსკოვის შენარჩუნებას?" — მოჰყვა დინჯი პასუხი მას შემდეგ, რაც ლეგენდარული ჩიბუხი ახალი თამბაქოთი დაიტენა:

— ვფიქრობ, რომ ახლა ეს ყველაზე მთავარია. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვუყაროთ თავი რეზერვებს. აი, ჩვენ მათ სულ ცოტა ხანში უკან გავრეკავთ.

ბრძოლები ოქტომბრისა და მთელი ნოემბრის განმავლობაში გრძელდებოდა. იმის მიუხედავად, რომ მტრის თავდასხმა მოსალოდნელი იყო ნებისმიერ დროს, სტალინმა ბრძანა მოეწვიათ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა ოქტომბრის რევოლუციის 24-ე წლისთავთან დაკავშირებით და გაემართათ სამხედრო პარადი წითელ მოედანზე, რისთვისაც საკუთარი რეზერვებიდან 200 ტანკი გამოჰყო. იმ დღესასწაულის შემდეგ, მოსკოვზე ახალი გენერალური იერიშის შედეგად, ჰიტლერის ჯარები მიუახლოვდნენ მოსკოვის კედლებს. ხიმკის. მაგრამ ახლა სტალინს ზურგს უმაგრებდა არმია, რომელიც მზად იყო გენერალური შეტევისათვის და მოსკოვთან გერმანელების განადგურებისათვის.

ელოხოვის ტაძარში, როგორც წერენ, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულის აღსანიშნავად 4 ნოემბერს გამართულ ლიტურგიაზე მამა იაკობ აბაკუმოვმა, სამხედრო კონრდაზვერვა „სმერშის" უფროსის არა მოგვარემ, არამედ ღვიძლმა ძმამ, ლოცვა აღავლინა „უზენაესი ბელადის სახელზე". მაგრამ სათაყვანებელი ხატი არავის აუტანია ცაში, რათა მასთან ერთად შემოეფრინათ ფრონტის ხაზი, ისევე როგორც, არც სტალინს შეუსრულებია „ილიას ხილვა", რომელსაც ღვთისმშობელმა გადასცა „ღვთის განჩინება" — შემოევლოთ ხატი ალყაშემორტყმულ ლენინგრადის ირგვლივ, ჩაეტანათ მოსკოვში — და შემდეგ სტალინგრადში, როგორც ამას გვარწმუნებს სტალინის ავტორი რაძინსკი.

„ჟუკოვმა გადაარჩინა მოსკოვი" — ასე წერდა სტალინი, როცა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მოსაპოვებლად წარადგინა იგი. თუმცა, ამას სტალინისთვის არ შეუშლია ხელი ომის შემდეგ დაეპატიმრებინა გენერლები, რომლებიც დიდი მხედართმთავრის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ. თავის მხრივ, ჟუკოვიც „აფასებდა სტალინს, როგორც სახელმწიფო მეთაურს". მოსკოვისათვის ბრძოლის 25 წლისთავთან დაკავშირებით ჩემთან საუბრის დროს, მან ასეთი რამ თქვა: „ეს იყო ხალხის დიდი გამარჯვება. მძიმე გამარჯვება. ჩვენ წინააღმდეგ მოდიოდა ყველაზე ძლიერი მტერი, მაგრამ ჩვენ შევძელით მისი განადგურება".

კაცობრიობის უბოროტესი მტერი დაამარცხა არა ღმერთმა ზეცაში, არამედ „მეფემ და ღმერთმა" მიწაზე, რომელმაც თავი მოუყარა რეზერვებს. და დასავლეთის ფრონტის ძლევამოსილმა დივიზიებმაც იმდროისათვის მოწინააღმდეგისაგან უკვე ისწავლეს, თუ როგორ უნდა ეომათ. თუ „დიდი ტერორის" წლებში ხალხმა მთელი ძალით იწვნია სტალინის ბოროტება, ომის წლებში გაბრწყინდა მისი, როგორც უდრეკი, ბრძენი სახელმწიფოს მეთაურის გენია.

**ლევ კოლოდნი.**
„მოსკოვსკი კომსომოლეცი",
5 აგვისტო, 2003 წელი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ" № 211.

## მსოფლიო შტრიხებში

### ძაღლისაც რომ შეგშურდება...

აბა, როგორ არ შეგშურდება, როცა, მაგალითად, შეიტყობ, რომ იტალიაში სულ უფრო მატულობს იმ სპეციალური პლაჟების რიცხვი, რაც განკუთვნილია ადამიანის ოთხფეხა მეგობრებისათვის, აღარაფერს ვამბობთ მილიონერ ძაღლებსა და კატებზე, ჯიბესქელმა პატრონებმა რომ უანდერძეს ენით აუწერელი ქონება.

როგორც ჟურნალი Panorama იტყობინება, იტალიაში 60 მილიონ კაცთან ერთად ცხოვრობს 7 მილიონი ძაღლი და 8 მილიონი კატა. სწორედ ამიტომაა, რომ ზაფხულის დადგომისთანავე თითქმის ყოველ მეორე ოჯახს ექმნება პრობლემა — შვებულების დროს სად გაემგზავროს თავის ოთხფეხა მეგობართან ერთად?

ამ დროს კი იტალიაში გამოვიდა ცხოველთა დაცვის ძალზე მკაცრი კანონი. მაგალითად, ვინც ძაღლს უპატრონოდ მიატოვებს, ან სახლიდან გააგდებს, ციხე ემუქრება. ამიტომაც ოჯახების უმრავლესობას ახლა უკვე ეს ცხოველები თან მიჰყავს ზღვაზეც კი.

„ამჟამად ძალზე ცოტაა ისეთი პლაჟები, სადაც ნებადართულია ცხოველების მიღება — უთხრა ჟურნალის კორესპონდენტს ელიზაბედ დალ ორტომ, 1997 წელს იტალიაში გახსნილი დაწესებულების BauBau Village პატრონმა. ეს პირველი დაწესებულებაა, რომელსაც მისცეს ძაღლების მიღების უფლება.

სწორედ ეს გახდა სიგნალი სხვა ანალოგიური დაწესებულებების გასახსნელად. საპლაჟო ქოლგების ნაცვლად გამოჩნდა თივის ქოხები. სათამაშო მოედნები. გამოიყო სპეციალური ადგილები ძაღლების საბანაოდ და შემდეგ შხაპის მისაღებად, ბარებში გაჩნდა ათასნაირი საჭმელი ძაღლებისათვის. „დიდი ყურადღება ეთმობა ჰიგიენას — ამბობს ელიზაბეტი, — ყოველ საღამოს სპეციალური მოწყობილობით დეზინფექციას ვუკეთებთ ჩვენს პლაჟს".

თქვენ წარმოიდგინეთ, პიზას უნივერსიტეტიდან ძაღლთა ფსიქოლოგიის პროფესორიც კი მიიწვიეს, რათა ამ დაწესებულების კლიენტებს ლექციები წაუკითხოს მათი ოთხფეხა მეგობრების ქცევაზე.

ალბათ დაგაინტერესებთ, თუ რა ჯდება ყოველივე ეს? — ერთი „დამსვენებელი" დაახლოებით 35 ევრო დღეში.

ესეც თქვენი „ძაღლური ცხოვრება!"

* * *

და კიდევ: გერმანულ ფირმა Dog Goes ვერ აუდის შეკვეთებს მზის სათვალეების დამზადებაზე... ძაღლებისათვის. ისინი კი ბაზარზე წლეულს გამოჩნდა.

თავდაპირველად სათვალეები განკუთვნილი იყო მთებში მომუშავე მაშველი ძაღლებისათვის, რათა მათი თვალები თოვლსა და ყინულზე არეკლილი მზის სხივებისგან დაეცვათ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ყოველივე ამის ტელეგადაცემა მიეძღვნა, ფირმას შეკვეთები მოუზღვავდა. მუქი სათვალეები ძაღლებისათვის ღირს 60-დან 100 დოლარამდე. პატრონს შეუძლია ნებისმიერი ჯიშის ძაღლისათვის სათვალეების შერჩევა.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი სილვია უილზ ჰეროლდი ამბობს, „პატრონები ფულს არ ზოგავენ, რათა მათი მეგობრები „მოდურად" გამოიყურებოდნენ. ახლა სარკისებურ სათვალეებსაც კი ვაკეთებთ მრავალფეროვანი ჩარჩოებით. სპეციალურად იორკშირის ტერიერებისათვის კი მოოქროვილჩარჩოიან სათვალეებს დაგიმზადებთ!"

მოდი და, ნუ შეგშურდება?!



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სიკვდილის მეკავშირენი

# გასროლა 300 დღის შემდეგ

დაუწერელი წესია — ქალთან არ უნდა ჩაგებინოს. მით უფრო — იარაღიანს.

თუმცა ქალსაც გააჩნია.

ვინ იცის, რას ფიქრობდა პოლიციელი შოთა ბოჭორიშვილი იმ დღეს, როცა თბილისში, მეტროპოლიტენ „ისნის“ სადგურის მოპირდაპირე მხარეს, არცთუ ურიგო ქალბატონი გაიცნო. იგი, როგორც იტყვიან, ძალიან მალე შევიდა კონტაქტში უცნობთან. გაცნობას გასეირნების წინადადება მოჰყვა. ჯერ გული სიარულით იჯერეს, მერე კი ჩოლოყაშვილის ქუჩის დასაწყისში სკვერში მოიკალათეს.

ცოტა ხანში შოთა ბოჭორიშვილმა კონიაკი მოიტანა. დაიწყეს სმა. ძნელი სათქმელია, როგორი ბრტყელი სადღეგრძელოები უძღვნა პოლიციელმა ბოჭორიშვილმა რამდენიმე წუთის წინათ გაცნობილ თანამეინახეს, მაგრამ ფაქტია, რომ კარგად გამობრუჟდა. უცნობი ქალბატონი მიხვდა, რომ საქმე გვარიან ბეყეჩთან ჰქონდა. როცა პოლიციელ ბოჭორიშვილს კონიაკმა „ყინწი მოსწყვიტა“ მას არც ქალი ახსოვდა, არც თავი, მით უფრო, სამსახური და იარაღი. უცნობმაც არ დაახანა და შოთა ბოჭორიშვილს ტაბელური იარაღი, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი №4522 ორი მჭიდით და 16 საბრძოლო ვაზნით, აგრეთვე, „ყოჩაღი“ ბიჭის პირადი დოკუმენტები, მისი ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და სხვა საბუთები გაიტაცა და მიიმალა.

ტყუილად ნუ გაიცხელებთ თავს იმაზე ფიქრით, რომ პოლიციელმა ბოჭორიშვილმა მეორე დღესვე სიმართლე მოახსენა ხელმძღვანელობას. მართალია, მან პატაკი დაწერა, მაგრამ იქ, ცხადია, სიმართლე დამალა და როგორღაც იოლად გამოძვრა. იცრუა — პატრულირებისას თავს დამესხნენ და გამთიშესო.

სიმართლე მერე გამოაშკარავდა, მაგრამ რაღა დროს.

პოლიციელ ბოჭორიშვილის „ბლეფს“ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. უფრო ზუსტად — იმ იარაღით, რომელიც მას, როგორც გამოძიებით დადგინდა, ყვარლელმა დარეჯან ქაჩლიშვილმა მოჰპარა, 1995 წლის 30 ივლისს მოკლეს თბილისელი ახალგაზრდა, 22 წლის დავით ჩერქეზიშვილი.

... თუ არ ვცდები, ჩეხოვს აქვს ნათქვამი — იმ თოფმა, რომელიც სპექტაკლში კედელზეა ჩამოკიდებული, სპექტაკლის ბოლომდე უნდა გაისროლოსო.



შოთა ბოჭორიშვილს ეს რომ სცოდნოდა, იქნებ სხვანაირად მოქცეულიყო. მისი ქოსატყუილობის შედეგი 300 დღის შემდეგ გახმიანდა.

* * *

თბილისელმა ცოლ-ქმარმა თამარ და ელდარ ჩერქეზიშვილებმა 1995 წლის 30 ივლისს, საღამოს მათგან მეორე ბინაში წასული ვაჟი მეორე დილით მოიკითხეს. დაახლოებით 9 საათზე მოსკოვის პროსპექტზე მდებარე მათს მეორე ბინაში 22 წლის დავით ჩერქეზიშვილის გვამი იპოვეს. იგი სრულიად შიშველი, გულაღმა იწვა. იქვე ეგდო ზეწარი, რომლითაც მკვლელს გულდაგულ მოეწმინდა იატაკზე დაღვრილი სისხლი. დათოს ლეიბზე ნახეს ერთი ცალი გასროლილი ტყვიის გულა და მასრა, საწოლის ქვეშ ეგდო ერთი ცალი „ასეჩკიანი“ ტყვია, ხოლო მეორე — ფანჯარასთან ახლოს, რადიატორის ქვეშ.

ლოჯში გაშლილი სუფრა იმის დასტური იყო, რომ ტრაგედიამდე იქ ორი ადამიანი „ქეიფობდა“. გამოძიებას არ გასჭირვებია დაედგინა, ვინ იყო მეორე — ქალი თუ კაცი? ჩერქეზიშვილების რამდენიმე მეზობელმა წინა ღამეს საკუთარი თვალებით ნახეს, რომ დაახლოებით ღამის 11-დან 12 საათამდე დათო საშუალოზე ოდნავ მაღალ, ტანთხელ ქალბატონს აუძღვა სახლში. მეტიც, ერთ-ერთისთვის გახარებულს უთქვამს — „კარგი ქალი დავითრიეო“.

ამ „დათრეულმა ქალბატონმა“ შუაღამისას მას დაუნდობლად დაახალა პოლიციელ შოთა ბოჭორიშვილისგან გატაცებული პისტოლეტიდან ორი ტყვია, მერე საკმაოდ მშვიდად ჩაილაგა ვიდეო და ორკასეტიანი მაგნიტოფონი, ვარდისფერი მარგალიტის მძივი, წვრილი მარჯნის მძივი თეთრი კულონით, თეთრი ფერის მარგალიტის მძივის ორი ასხმა, გიშრის მრგვალი მძივი და სხვა.

ცოლ-ქმარ ჩერქეზიშვილებს, შემდეგ მოსულ პოლიციელებს, გამომძიებლებს ოთახი არეული დახვდათ. ცხადი იყო, ვიღაცა რაღაცას ეძებდა. უფრო მეტს, ვინემ ეს ხელს გაყოლებული ნივთები იყო.

თუმცა რაღა დროს ნივთებია.

ფეხზე დადგნენ საგამოძიებო ორგანოები. აქტიურობდა მოკლულის მამაც — საქართველოს პარლამენტის 1995-99 წლების მოწვევის დეპუტატიც.

ყველას აინტერესებდა რა მოხდა, რატომ და რა ვითარებაში? იყო ეს მარტო ანგარებით ხასიათის მკვლელობა თუ პოლიტიკური მოტივიც უნდა დაშვებულიყო.

საქმე გამოსაძიებლად საქართველოს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს თენგიზ კვარაცხელიას გადაეცა, რომელსაც პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას თვით მოკლულის პრეტენზიული მშობლებიც კი ვერ უწუნებდნენ.

* * *

გამოძიებისთვის ერთი რამ ცხადი იყო: უწინარესად, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ტანთხელი ქალბატონის ვინაობა უნდა გარკვეულიყო.

თენგიზ კვარაცხელიას თქმით, გამოძიებამ და ოპერატიულმა სამსახურებმა თავიდან მოსკოვის პროსპექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე „მსუბუქი“ და „მძიმე“ ყოფაქცევის ქალბატონები ერთიანად „გაფილტრეს“. დაახლოებით 30-ზე მეტი ხათუნი მოხვდა გასაცხრილ სიაში. რამდენჯერმე გამოძიებამ „კინაღამ“ გახსნილად ჩათვალა საქმე. ეს ხდებოდა საქმეში გამომძიებელ კვარაცხელიას ჩართვამდე. მეტიც, ერთხელ არასრულწლოვან ასანიძესაც დაბრალდა ეს მკვლელობა. უფრო სწორად, ცდილობდნენ „შეეტენათ“ მისთვის, მაგრამ კვარაცხელიამ პრინციპული პოზიცია დაიკავა.

* * *

საქმის გახსნას ორ წელზე მეტი დასჭირდა. გაფართოვდა ძებნის რადიუსი. გამოძიებისთვის ხელჩასაჭიდი ინფორმაცია ყვარლიდან მოვიდა.

ყვარლის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ყოფილმა უფროსმა დავით ქარენაშვილმა თელაველი ტაქსის მძღოლის წივილაშვილის მკვლელობის საქმეზე ოპერატიული ინფორმაცია მოიპოვა. მისი ვერსიით, სოფელ ენისელში მოკლული ტაქსისტის საქმეში ჩართული უნდა ყოფილიყო ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მკვიდრი, 30 წლის დარეჯან ქაჩლიშვილი. ქარენაშვილმა რამდენჯერმე დაიბარა ქაჩლიშვილი სამუშაო ოთახში და ცდილობდა გარკვეული ნდობა მოეპოვებინა.

ქარენაშვილმა იცოდა, რომ ქაჩლიშვილი ხშირად დადიოდა თბილისში. ამიტომ სცადა, მისი თბილისური „კანალები“ შეესწავლა. მან შესაბამისი ნებართვა ითხოვა და მიღების შემდეგ დაიწყო დარეჯან ქაჩლიშვილის ოპერატიული დამუშავება. საკმაოდ მოხერხებულად დაარწმუნა ქაჩლიშვილი, რომ პოლიციაში უკვე აღარ მუშაობდა და თბილისში მცირე ბიზნესით ირჩენდა თავს. ყოველი შეხვედრა მცირე ტრაპეზით მთავრდებოდა. ყოფილი პოლიციელი მალე მიხვდა, რომ სიმთვრალეში ქაჩლიშვილი ნებისმიერ მძიმე დანაშაულზე იყო წამსვლელი. ქარენაშვილმა რამდენჯერმე ოსტატურად ჩაუგდო სიტყვა ტაქსისტ წივილაშვილის მკვლელობაზე. თავიდან დარეჯანი დუმდა, დაახლოებით სამი თვის შემდეგ მან სიმთვრალეში განაცხადა, რომ არაფერი იცოდა ტაქსისტის მკვლელობაზე, მაგრამ თბილისში, მოსკოვის პროსპექტზე კი ჰყავდა კაცი მოკლული...

ცოტა ხანში დარეჯან ქაჩლიშვილი, როგორც მკვლელობაში ეჭმიტანილი, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს. მან პირველივე დაკითხვაზე ყველაფერი აღიარა. ეს მოხდა 1997 წლის 15 ოქტომბერს (სწორედ იმ დღეს გაიხსნა ორი წლის წინანდელი ფაქტი — პოლიციელ შოთა ბოჭორიშვილის სატაბელო იარაღის ქურდობა. მისი გახსნით მანამდე თავი არავის შეუწუხებია). იმავე დღეს დარეჯან ქაჩლიშვილმა, უკვე დაპატიმრებულმა, წერილები მისწერა თავის ნათესავებს ყვარელში. მათაც პოლიციას ნებაყოფლობით გადასცეს მკვლელობის იარაღი, აგრეთვე დავით ჩერქეზიშვილის ბინიდან გატაცებული ვიდეომაგნიტოფონი „შარფი“ და ორკასეტიანი მაგნიტოფონი „ტოშიბა“.

როცა გამოძიება ყვარლის რაიონის სოფელ გრემში მცხოვრები ბებიამისის მეზობელს მარინე არჯევნიშვილს მიადგა, მან მაშინვე გამოიტანა ის ფუთა, რომელიც შესანახად დარეჯანმა მისცა. მან არ იცოდა, რა იყო იქ. და როცა ფუთა გახსნეს, მაკაროვის პისტოლეტის დანახვაზე მარინე არჯევნიშვილს გული წაუვიდა. გამოძიებისთვის ეს ბუნებრივი დეტალიც სრულიად საკმარისი იყო იმაში დასარწმუნებლად, რომ მან მართლა არაფერი იცოდა.

იხ. მე-6 გვ.

## წიგნი

# ორძალების მოძალება

**„ორძალი უძველესი ქართული ორსიმიანი საკრავია, რითაც ჩვენი წინაპრები გამოთქვამდნენ თავიანთ ჭირსაც და ლხინსაც. ჩემს ორტაეპიან გამონათქვამებსაც, რომლებიც, აგერ, ახლა, ჩვენს თვალწინ დატრიალებული საყოველთაო უბედურების წლებში დამიგროვდა, ჯეროვან სათაურად სწორედ ეს მოკლედ მოჭრილი და ღონიერი სიტყვა შევურჩიე“, — წერს თავისი ახალი პოეტური კრებულის „ორძალების“ წინასიტყვაობაში ცნობილი პოეტი ოთარ შალამბერიძე.**

ოთარ შალამბერიძე ორმოცდაათიანელთა თაობას ეკუთვნის. მან მართალი, მაღალმხატვრული ქმნილებებით თავისი ადგილი დაიმკვიდრა დიდ ქართულ პოეზიაში. ღრმა ლირიზმი, მეტაფორული აზროვნება, სათქმელის სხარტად გადმოცემის უნარი და, რა თქმა უნდა, ეროვნული მუხტი — აი, პოეტის შემოქმედების აღიარების ძირითადი „სიდუმლო“.

აქაც, ქართული პოეზიისათვის მიღებული და დამკვიდრებული ლექსის ამ უჩვეულო ფორმაში, არც ერთი სიტყვა არ არის გამოყენებული მხოლოდ იმისთვის, რომ „ადგილი შეავსოს“, ან ტაეპს საჭირო მარცვალი შემატოს. ყოველ მათგანს აქვს დატვირთვა, ლოგიკური ფუნქცია, რაც სათანადო ასოციაციასაც იწვევს. **„ჩემს ორძალებში ყველა სიტყვა ძველისძველია, ახალი მხოლოდ ტკივილები შემიძენია“,** — აცხადებს პოეტი და, მართლაც, ამ ზომითაც ორიგინალურ, ორძალების ფორმასთან მისადაგებულ 136-გვერდიან წიგნში არც ერთი „ფუჭი ვაზნა“ არა დევს — ყველა ორძალს თავისი დატვირთვა და მისამართი აქვს.

შეიძლება ითქვას, რომ ორძალები ქართულ ლექსთწყობაში ახალი ფორმის დამკვიდრების სერიოზული მცდელობაა. ეჭვიც არ მეპარება, რომ მომავალში მას მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მოკლედ, სხარტად თქმა ეხერხება. ამ ორტაეპიან ლექსებშიც რომ დიდი აზრისა და ქვეტექსტის ჩადება შეიძლება, ოთარ შალამბერიძის ბევრი ნაკალმარი ადასტურებს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თექვსმეტმარცვლიანი ტაეპით იქნება გამართული თუ რვამარცვლიანით (**„კარგს რას იზამდა შურის ხე — ჭირის დღესავით იზარდა, ათასი მტერიც ვერ მოვა ერთ უნამუსო ხიზანთან“, „ვინც არასოდეს დაობდა, თანდათანობით დაობდა“**).

ერთმა რუსმა პოეტმა ბრძანა, დიდი შემოქმედი მაშინ იქნები, თუ ყოველი სტროფის ყოველ ტაეპში დასრულებულ აზრს გადმოსცემო. ეს ურთულესი რამ არის და დიდ ოსტატობას მოითხოვს, ამიტომ ძნელად შესასრულებელია. მიუხედავად ამისა, ამ კრებულში ვნახე არაერთი ორძალი, ამ მოთხოვნას ზედმიწევნით რომ აკმაყოფილებს (**„მომართვეს ჯამთასი: უნდა დაგვილიო, მამული გვენახოს სუფთად დაგვილიო“**). აქ ორი წინადადება ავსებს ერთმანეთს, თუმცა დამოუკიდებლადაც დასრულებულ აზრს გადმოგვცემენ. აქვს მეორე ღირსებაც — რთული რითმა-აჯამა — **„უნდა დაგვილიო — სუფთად დაგვილიო“**. სხვათა შორის, ოთარ შალამბერიძე ძალიან ხშირად მიმართავს რთულ რითმას: **„მიზის ლექსი — სიზიფესი“, „ღამის შემოსვლა — ამით შევმოსავ“, „ჩვენი ქაქუცა — ვერ ილაქუცა“, „შეაშრი ალებს — შეაშრიალებს“, „ბედი რაც არი — დედინაცვალი“, „ეფეთხუმარეს მეფეთ ხუმარებს“** და ა. შ. ზოგჯერ ერთი ორძალი მეორის გაგრძელებაა (**„თავის ბუდესთან ჩიტსაც გული შევარდნის აქვსო, ეს რომ რუსული ანდაზაა, მშვენივრად მახსოვს“ — „ჩემი საბრალო საქართველო იმ ჩიტს ჰგავს ახლა, რომელიც ნიანგს უსუფთავებს დაფჩენილ ხახას...“**). წარმოიდგინეთ, ამ მცირე მოცულობის ლექსებში პოეტი დიალოგის ფორმასაც მშვენივრად იყენებს: „ — **ძმაო, ახლა სენაკში ვართ, ამის მერე ხო ხობია? — კი, ბატონო, ჩვენი ხობი სამეგრელოს ხოხობია**“.



აი, სადღეისოდ წყევლა-კრულვიანი საკითხავი: შეუძლია თუ არა საქართველოს ურუსეთოდ? **„რაო, საშველი არ აქვსო ქართველს ურუსოდ?! — განვედ, მონურო მორჩილებავ, განვედ, ბურუსო!..“** ასეთია პოეტის ლაკონური და ლოგიკური პასუხი. და რადგანაც ჩვენში საღად მოაზროვნე ბევრი ადამიანი ასე ფიქრობს, გამოდის, რომ პოეტი თავისი ხალხის გულისნადებს გამოხატავს. ამაშია მისი ყველაზე დიდი გამარჯვება.

წავაწყდი რამდენიმე ორძალს, რომელიც თავიდან ბოლომდე გარითმულია: **„ლოჭინის ხევის ლანდშაფტი! მოჭრილად: ლანდი ეშაფოტის“.** მე აქ სხვა სიმბოლოსაც ვხედავ: აბა, გავიხსენოთ დიდი ილიას „სარჩობელაზედ“, და სიტყვა „ეშაფოტიც“ თავის მიზომილ ადგილს სავსებით ამართლებს!

**„მაქვს წესრიგი უმოწყალო: არც ერთი დღე — უორძალო“,** — აცხადებს პოეტი. მართლაც, ამ კრებულის თითოეულ გვერდზე, როგორც წესი, ხუთი ორძალია დაბეჭდილი. გამოდის, რომ იგი, სულ ცოტა, 650 ნაწარმოებს იტევს! ეს იმას ნიშნავს, რომ სამოცდაათი წლის შემოქმედი კვლავ ფორმაშია.

ვისაც წიგნის შეძენა სურს, შეუძლია მიაკითხოს **„საუნჯისა“** და **„მერნის“** სპეციალიზებულ მაღაზიებს.

**ელგუჯა ლებანიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სიკვდილის მეკავშირენი

# გასროლა 300 დღის შემდეგ



(მეხუთე გვერდიდან)

* * *

როგორც ითქვა, დარეჯან ქაჩლიშვილმა გამოძიებას პირველივე დაკითხვაზე აღიარებითი ჩვენება მისცა. როცა მისი მონათხრობი გადამოწმდა, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა.

შემდეგ გამოძიება, ცხადია, მკვლელი ქალბატონის პერსონითაც დაინტერესდა. როგორც გაირკვა, დარეჯან ქაჩლიშვილი 1991 წლიდან მარტოხელა დედის ჭაპანს ეწეოდა. ჰყავდა ერთადერთი გოგონა, რომელსაც მკვლელობის დროს ხუთი წელი შეუსრულდა. დარეჯანი შვილთან ერთად, დედასთან უთანხმოების გამო, გურჯაანიდან საცხოვრებლად სოფელ გრემში ბებიამისთან გადავიდა.

როგორც გამოძიების მასალებიდან ჩანს, დარეჯან ქაჩლიშვილი თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით მოქმედებდა — იოლად შედიოდა უცნობ მამაკაცთან კონტაქტში. შემდგომი ეტაპი ქეიფი იყო, სიმთვრალეში კი ჩანაფიქრს აღასრულებდა. ას მოხდა იმ საბედისწერო საღამოსაც.

1995 წლის 30 ივლისს, საღამოს ათი საათისთვის დარეჯან ქაჩლიშვილი მანქანაში ჩაუჯდა დავით ჩერქეზიშვილს. მათ ცოტა გაისერნეს. შემდეგ კი ბინაში ავიდნენ. „დათრეულმა ქალმა“ მასპინძლის ბინა მისივე ხელშეწყობით ყურადღებით დაათვალიერა. ისიც კი გაიგო, რომ ამ ბინას ოჯახი დავითის დას უტოვებდა, ხოლო მისთვის ვარკეთილში უნდა ეყიდათ სხვა ბინა.

მერე გაიშალა სუფრა. სასმელი, ხილი... საწოლი და... დარეჯან ქაჩლიშვილმა მას ორი გასროლით ზურგი შეუნგრია.

დანარჩენი, რაც მოხდა, უკვე ითქვა.

გამომძიებელს არ დაუკონკრეტებია, რატომ გამოჰკრა მკვლელმა ქალბატონმა სასხლეტს მესამედ თითი?

ვინ იცის, იქნებ საკონტროლო გასროლის მიზნით? მესამე, ანუ „ასეჩკიანი“ ტყვიის მიზეზის გარკვევა საჭირო არ გახდა. საქმეში ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

გამოძიებამ სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრა ქაჩლიშვილის დანაშაული, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, იყო 104-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც 15 წელს ითვალისწინებდა. მას ბრალი 1998 წლის 8 ივლისს წარედგინა.

* * *

სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა ცოტა „გაიფართხალა“. მან მოულოდნელად ხელი დავით ქარენაშვილისკენ გაიშვირა და განაცხადა, რომ სწორედ ის იყო მკვლელობის ორგანიზატორი თუ არა, თანამონაწილე მაინც. ქაჩლიშვილმა განმარტა, რომ იმ დღეს თბილისში შეხვდა დავით ქარენაშვილს და ჯანო ნაცვლიშვილს. მერე ქარენაშვილის თეთრი ჟიგულით მივიდნენ მოსკოვის გამზირზე. გაჩერდნენ დათქმულ ადგილზე, კერძოდ, უნივერმაღ „მოსკოვის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ჯიხურებთან. იქ ელოდა „კლიენტს“, რომელსაც წინასწარი მოლაპარაკების თანახმად სახლში გაჰყვებოდა, დააძინებდა მას და შემდეგ ბინის გაძარცვის მიზნით კარს გაუღებდა დავით ქარენაშვილს და მთელ ყვარელში სახელგანთქმულ ყაჩაღს ჯანო ნაცვლიშვილს. მითითებულ ადგილზე მას მანქანა გაუჩერა და შემდეგ სახლში აიყვანა დავით ჩერქეზიშვილმა, რომელსაც სასმელის მიღებისას ჭიქაში დასაძინებელი წამალი ჩაუსხა. შემდეგ ჩერქეზიშვილმა მასზე იძალავა და დაიძინა. ამით ისარგებლა ქაჩლიშვილმა და ბინაში ქარენაშვილი და ნაცვლიშვილი აიყვანა, თვითონ კი „მოსაწესრიგებლად“ ლოჯში გავიდა. ცოტა ხანში გაიგონა სროლის ხმა, ოთახში შებრუნდა და დაინახა იატაკზე პირქვე დავარდნილი დავით ჩერქეზიშვილი, რომელსაც ზურგიდან სისხლი სდიოდა. მკვლელობის შემდეგ, მისი თქმით, ქარენაშვილი და ნაცვლიშვილი — ერთი პოლიციელი, მეორე კი ყაჩაღი — შეკამათდნენ. მას შეეცოდა მკვლელი ჯანო ნაცვლიშვილი და თვითონ იკისრა მომხდარი დანაშაული. იმ შემთხვევაში თუკი ეს მკვლელობა გაიხსნებოდა, დავით ქარენაშვილის დავალებით, ნივთმტკიცების სახით მოკლულის ბინიდან წამოიღო ვიდეომაგნიტოფონი, მაგნიტოფონი და კასეტები.

როგორია? ასეთი „ბრალდება“ ქვას გახეთქავდა და გამოძიებაც იძულებული გახდა, ცოტა წაემუშავებინა ამ კუთხით. გაირკვა, რომ ჯანო ნაცვლიშვილი 1995 წლის ნოემბერში პოლიციელებმა მოკლეს. უკვე ჩატარდა მოკვლევა დავით ქარენაშვილის მიმართ. საქმის გახსნაში მას, ფაქტობრივად, დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი. გამოძიებამ, ცხადია, ესეც გაითვალისწინა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მთელ რიგი სხვა დარღვევებსა და არაკანონიერ ქმედებებში ამხილა ყვარლის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი დავით ქარენაშვილი და იგი 1998 წლის 22 აგვისტოს სამსახურიდან დაითხოვეს. რაც შეეხება ქაჩლიშვილის განცხადებას დავით ქარენაშვილთან დაკავშირებით, გაირკვა, რომ ეს იყო განთქმითი ხასიათის განცხადება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების მიზნით გაკეთდა. გაირკვა ისიც, რომ ქარენაშვილს და ჩერქეზიშვილს ერთმანეთთან არანაირი ნაცნობობა არ აკავშირებდათ.

* * *

სასამართლო კოლეგიამ, რომელსაც მოსამართლე დავით მანაგაძე თავმჯდომარეობდა, ბრალდების მოთხოვნა უცვლელი დატოვა და დარეჯან ქაჩლიშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა საერთო რეჟიმის შრომაგასწორების ქალთა კოლონიაში.

განაჩენი არ გასაჩივრებულა. ქაჩლიშვილს არც მანამდე, გამოძიების მსვლელობისას, არც შემდგომ ერთი საჩივარიც კი არ დაუწერია. იგი ბედს შეურიგდა.

რაც შეეხება ქოსატყუილა პოლიციელს შოთა ბოჭორიშვილს, რომლის სატაბელო იარაღითაც მოხდა მკვლელობა, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია არასწორი ჩვენებისათვის მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 197-ე მუხლით. ასეც მოხდა, მაგრამ მას მეკავშირედ და მხსნელად ხანდაზმულობის ვადა მოევლინა.

22 წლის დავით ჩერქეზიშვილის მამას თავიდან არ სჯეროდა, რომ მისი ვაჟის მკვლელობა მართლა ასე მოხდა, მაგრამ მერე, როცა ყველაფერი გაიშიფრა, ყველაფერი შეჯერდა, დაიჯერა. მკვლელი მარტო მოქმედებდა. თუმცა რა შეღავათი უნდა მიეცა ამას შვილმკვდარი მამისათვის?

**გიგლა გოგერია.**

## გამონათება წარსულიდან

# იმპერიის პრინცი და დადიანების სასახლე

„დადიანების სასახლეთა დაცვის კავშირი“ ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი 1999 წლიდან ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სიძველეთსაცავის სახვითი ხელოვნების ფონდის რეაბილიტაცია, სამუზეუმო პირობების გაუმჯობესება, აქ დაცული ნამუშევრების მეცნიერულად შესწავლა და პოპულარიზაცია. ჩვენთან ერთად ამ საქმეში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეის წამყვანი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა ე. წ. „უცნობი ტილოების“ იდენტიფიკაცია და მხატვრულ-ისტორიული ანალიზი (რაც მანამდე, სამწუხაროდ, არასოდეს ჩატარებულა).

ამჟამად უკვე დამთავრდა ეკატერინე ჭავჭავაძის, დავით, გრიგოლ და ნიკო დადიანების პორტრეტების სტილისტურ-ისტორიული აღწერა. დადგენილია შემდეგი ნამუშევრების ავტორები: „პეტრე-I“ – (ნიკოლა ლარჟირელის მიხედვით), „ეკატერინე II“ (მიხეილ შიბანოვის მიხედვით), „ცარსკოე სელოს სალონი“ (ვლადიმერ ჰაუ), „გოგონა“ (ედუარდ ჰაუ), „მერი ადლერბერგი“ (ივანე ტიურინი), „ალექსანდრე ადელბერგი“ (ივანე ტიურინი), „ალექსანდრე II“ (სერგეი ზარიანკო), „პეტრე ბაგრატიონი“ (სალვადორ ტონჩის მიხედვით). იდენტიფიცირებულია უსახელო პორტრეტები: იაკობ ოვნათანიანის – „გენერალი ივანე პასკევიჩი“, უცნობი მხატვარის „გენერალ მაიორი ალექსანდრე პატკული“ (მანამდე კი მცდარად დავით დადიანად მიიჩნეოდა), თევდორე მოლერის – „ვლადიმერ ადლერბერგი“ (მანამდე იგი მცდარად ანდრია დადიანად მიიჩნეოდა), კონსტანტინე მაკოვსკის – „ნიკო ნიკოს ძე დადიანი“, ალბრეხტ ადამის – „იოაჰიმ მიურატი“.

დადგინდა, აგრეთვე, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დავითის ძე დადიანის პორტრეტის შესრულების ზედა ზღვარი (1889 წ.).

პროექტის ფარგლებში აღიწერა და შეიქმნა ფრანც კრიუგერის, პიერ ბლანშარის და ვასილ ტიმის გრაფიკული ნამუშევრების მონაცემთა ბაზა.

პასპორტიზაცია ჩაუტარდა 20 ფრანგულ გრავიურას. მუზეუმის ისტორიაში პირველად გამოიცა მაღალი პოლიგრაფიული და მეცნიერული დონის 64-გვერდიანი ფერადი კატალოგი და ღია ბარათების კომპლექტი. უახლოეს მომავალში კი მკითხველი დადიანების სასახლესთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო ნაშრომს იხილავს.

მკითხველის ყურადღება მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამოფენილ ერთ საინტერესო ნამუშევარზეც გვინდა შევაჩეროთ. ეს ეხება პორტრეტს, რომელზეც ჟოკეის ფორმაში გამოწყობილი უცნობი მხედარია გამოსახული. მისი ავტორი ცნობილი ინგლისელი მხატვარი პრადე (1862-1879) გახლავთ. იგი, ძირითადად სპორტულ თემებზე მუშაობა და როგორც აღვნიშნეთ, ზუგდიდის კოლექციაშიც ცხენოსანია გამოსახული. ტილოზე შავი და ნაცრისფერი ფერები ჭარბობს. მათი ოსტატური შეხამება განსაცვიფრებელ შედეგს იძლევა.

პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობა არაა მითითებული, მასზე არ საუბრობენ მუზეუმში დაცული ისტორიული დოკუმენტებიც. თუმცა, სულ ახლახან ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ მხედრის იდენტიფიცირების საშუალება მოგვცა. კერძოდ, 2002 წელს ფრანგი პრინცესა ვერონიკა დე შაბო დე ტრამკურ-მიურატის ხელმძღვანელობით საფრანგეთის სამეცნიერო ექსპედიცია ესტუმრა. ექსპედიციის ფარგლებში უნდა გავცნობოდით იმ მასალებს, რომლებიც დადიანებისა და საფრანგეთს საიმპერატორო კარის ურთიერთობებზე გვაუწყებდნენ. სწორედ ამ მიზნით მოგვეცა საშუალება, გვენახა ნაპოლეონ III პერიოდის ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი — კომპიენის სასახლე. მუზეუმის საგამოფენო დარბაზის ერთი ნაწილი ნაპოლეონის შვილის იმპერიის პრინცის — ნაპოლეონ ეჟენ ლუი ჟან ჟოზეფის მოღვაწეობას ეძღვნება. აქ არის დაცული მისი მემორიალური ნივთები და, რა თქმა უნდა, პორტრეტებიც, რომლებიც ჩვენი მხედრის პორტრეტთან განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენდა.



საფრანგეთშივე ფოტოასლების გაკეთების შემდეგ ჩვენ ისინი ზუგდიდში დაცულ ნამუშევრებს შევადარეთ, რითაც დადასტურდა, რომ საფრანგეთში და ზუგდიდში შესრულებულ პორტრეტზე ერთი და იგივე პირი, იმპერიის პრინცი, ნაპოლეონ IV წოდებული ეჟენ ლუი ჟან ჟოზეფია გამოსახული. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ დადიანებისა და საფრანგეთის საიმპერატორო სახლის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ სიახლოვესა და ნათესაურ ურთიერთობებს. ცნობილია, რომ ეკატერინე დადიანის ქალიშვილი სალომე დაქორწინებული იყო ნაპოლეონ III ნათესავზე, პრინც აშილ მიურატზე. ეს უკანასკნელი, ამასთანავე, იმპერატორის პირადი ადიუტანტი გახლდათ. 1870 წელს, იმპერიის დამხობის შემდეგ, წყვილი საქართველოში გადმოსახლდა და თან უამრავი რელიკვია წამოიღო.

იმპერიის პრინცი 1856 წელს დაიბადა. სედანთან მამის — ნაპოლეონ III დამარცხების შემდეგ დედასთან ევგენია მონტიხთან ერთად ინგლისში გაიქცა. ცხოვრობდა ლონდონთან ახლოს ჩიზლჰიორტის სასახლეში. მსახურობდა ინგლისის კოლონიალური არმიის ოფიცრად. 1870 წელს საფრანგეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, პარიზის კომუნის მოქმედებებით დაშინებული რეაქციონერები მონარქიის აღდგენას ცდილობდნენ და მომავალ იმპერატორად ჟან ჟოზეფს მოიაზრებდნენ. თუმცა, მას ნამდვილი ბონაპარტობისათვის სამხედრო დიდება ესაჭიროებოდა. ამ მიზნით დედამ და ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ პრინცი სამხრეთ აფრიკაში გაამგზავრეს. სადაც ინგლისი ზულუსების წინააღმდეგ კოლონიალურ ომს აწარმოებდა. თუმცა, ბედისწერა ტრაგიკული აღმოჩნდა. 1879 წელს იზანავლანასთან პრინცი და ორი ოფიცერი ზულუსების მიერ მოწყობილ ხაფანგში გაება. ცხენმა 23 წლის პრინცი მიწაზე დაანარცხა, მას ზულუსი მეომრები დაესხნენ, რომლებმაც იგი შუბებით დაჩეხეს... ერთი წლის შემდეგ ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ, პრინცის დედას, იმპერატრიცა ევგენია მონტიხს ნება დართო მოენახულებინა შვილის დაღუპვის ადგილი. დედოფალი დიდხანს ეძებდა მას, მერე კი იების თავბრუდამხვევი სურნელი იგრძნო... ასე იპოვა ევგენიამ ის ადგილი სადაც, შვილმა სული განუტევა. „მას ყოველთვის უყვარდა იები“ — უთქვამს ატირებულ დედოფალს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულია პრინც ჟოზეფთან დაკავშირებული კიდევ ერთი ნამუშევარი. ფოტოგრავიურაზე გამოსახულია აფრიკაში ექსპედიციის ერთი მომენტი, სადაც პრინცი ჭოგრიტით მოწინააღმდეგის ბანაკს ზვერავს. ამ ნამუშევრის დედანი პომპიენის მუზეუმშია და ცული და ჩვენი ფოტოგრავიურაც მისი მიხედვით უნდა იყოს დამზადებული.

გრავიურა უმძიეს მდგომარეობაში იყო, საშიში სოკოვანი დაავადებები მას განადგურების საფრთხეს უქმნიდა, თუმცა საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებითა და „დადიანების სასახლეთა“ გადარჩენის ფონდის“ მეშვეობით მოხერხდა მისი რესტავრირება საქართველოს საარქივო დეპარტამენტის დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმების რესპუბლიკურ ლაბორატორიაში (რესტავრაციას ლაბორატორიის დირექტორი თამარ სახოკია ხელმძღვანელობს). უახლოეს მომავალში უნიკალური გრავიურა ახალ სიცოცხლეს შეიძენს და განახლებული სახით დამთვალიერებელთა წინაშე წარსდგება.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული, აქამდე უცნობი ნამუშევრის მხატვრული, ისტორიული და ანთროპოლოგიური ანალიზი მიუთითებს, რომ მასზე საფრანგეთის იმპერიის პრინცი, ნაპოლეონ IV წოდებული ეჟენ ლუი ჟან ჟოზეფია გამოსახული. პორტრეტი ორიგინალია და იგი იმ დროის სახელმოხვეჭილი ინგლისელი მხატვრის პრადეს მიერაა შესრულებული 1876 წელს, პრინცი უკვე საფრანგეთიდან გაქცეული იყო და ინგლისში ცხოვრობდა. მას ეს პორტრეტი საჩუქრად ზუგდიდში დადიანებისთვის ინგლისიდან უნდა გამოეგზავნა. პორტრეტს მხატვრულთან ერთად განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან იგი იშვიათი მემორიალური ნივთია, ნამუშევრის იკონოგრაფია კი ერთადერთი. ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ მიუთითებს ზუგდიდის დადიანების სასახლეში დაცული ეროვნული საგანძურის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

**გიორგი კალანდია,**
**„დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის“ თავმჯდომარე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

ძალოსნობა

## ძია ვანო და მისი გოლიათები საქართველოში მოემზადებიან

**ბევრ ჩვენგანს, ალბათ, ახსოვს ყველასგან მივიწყებული და გავერანებული ძალოსნობის დარბაზი ვაკეში. იანვრის სუსხში თავის შეგირდებს, მათ შორის, კახი კახიაშვილს დიდი ასპარეზობისთვის სწორედ აქ ამზადებდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვანო გრიქუროვი. მინებჩამსხვრეულ დარბაზში იგი ნავთქურით დადიოდა და სათანადო მასაჟების შემდეგ გაყინულ შტანგასთან საპაექროდ ეპატიჟებოდა დღეს უკვე ლეგენდარულ ქართველ ძალოსანს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს. თუ როგორი შედეგი გამოიღო ამ ბრწყინვალე დუეტის ერთობლივმა ძალისხმევამ, ყველასათვის ცნობილია...**

დღეს ვერ იცნობთ ძალოსნობის დარბაზს ვაკეში. მთლიანად შეკეთდა მისი ინტერიერი, ახალთახალი სარკმლებიდან უხვად შემოდის მზის შუქი ოდესღაც ჩაბნელებულ ნაგებობაში სრული სახეცვლილებაა.

მომავალ ჩემპიონთა სამჭედლოს რამდენიმე ფიცარნაგზე ახალგაზრდა, პერსპექტიული ძალოსნები ვარჯიშობენ. როგორც 12 წლის წინათ, ახლაც თითოეულ მათს მოძრაობას თვალს ადევნებს სპორტის ამ სახეობის გამოცდილი სპეციალისტი, ძია ვანოდ წოდებული ივანე გრიქუროვი. 53 წლის პედაგოგი დაუზარებლად, დიდი სიყვარულით მოძღვრავს შეგირდებს. მისი გაკვეთილები ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვებისთვის მაშვრალ ძალოსნებს. მცირე შესვენებით ვისარგებლეთ და პოლონეთიდან შინ დაბრუნებულ მწვრთნელს გავესაუბრეთ.

**— თუ შეიძლება, თბილისში თქვენი დაბრუნების ძირითადი მიზანი გაგვაცანი?**

— საქართველოს დედაქალაქში მარტო ნოსტალგიას არ ჩამოვუყვანივარ. პოლონეთიდან 13 ივლისს, კახი კახიაშვილის (მას 34 წელი შეუსრულდა) დაბადების დღეს, ჩამოვედი. ჩემი მიზანია, ათენის თამაშებისათვის მოვამზადო საქართველოს საუკეთესო ძალოსნები. ამის გარდა, დიდი მუშაობა მმართებს კადეტთა ევროპის პირველობისთვის (იგი 19 აგვისტოს აიღებს სტარტს გერმანიის ქალაქ დორტმუნდში) საქართველოს ნაკრების დასაკომპლექტებლად. ძალიან მახარებს, რომ წვრთნა და სწავლა-მოსამზადებელი სამუშაოები ასეთ კეთილმოწყობილ სპორტულ დარბაზში მიხდება. ჩემი ოცნება იყო, ნორმალური ბაზა მქონოდა. დიდ მადლობა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს პარლამენტარ დავით ბექუაშვილს, რომლის ძალისხმევითა და დაფინანსებით გაუკეთდა ამ ნაგებობას კაპიტალური რემონტი, ეს ბაზა ამჟამად ევროპული სტანდარტის დონეზეა. სულ მალე აქ დამთავრდება დარჩენილი სხვა სამუშაოებიც, რის შემდეგ მას თამამად შეიძლება მომავალ ჩემპიონთა კერა ვუწოდოთ. ბატონი დავითის უშუალო მოწვევითა და თხოვნით დავბრუნდი მშობიურ თბილისში. იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი მომავალშიც არ მოგვაკლებს ყურადღებას.

**— ბინის, ხელფასისა და წვრთნის ნორმალური პირობები თუ შეგიქმნეს?**

— წვრთნისა და მუშაობის შესახებ უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება ბინისა და ხელფასის საკითხებს, მას ერთობლივად წყვეტენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, სეოკ-ისა და ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელები. იმედია, შესაძლებლობა მომეცემა, აქაური სპორტსმენების აღზრდასა და დაოსტატებას მოვახმარო საზღვარგარეთ დაგროვილი არცთუ მცირე გამოცდილება. ახლა მთელი ყურადღება კადეტი ძალოსნების ევროპის პირველობაზე მაქვს გადატანილი. ვფიქრობ, ბიჭები დორტმუნდში გვასახელებენ. მათი სახით საქართველოს ნაკრებს 2008 წლის პეკინის XXIX ზაფხულის ოლიმპიადისთვის შესანიშნავი ცვლა ეზრდება. ოღონდ მათს დაოსტატებას აქედანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

**— დარბაზში თქვენს კიდევ ერთ ნიჭიერ შეგირდს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს გიორგი ასანიძეს ვერ ვხედავ...**

— როგორც იცით, გიამ გაზაფხულზე მხრის ურთულესი ოპერაცია გაიკეთა და ჭრილობებს იშუშებს. ექიმებმა მას მსუბუქად ვარჯიშის უფლება დართეს. ახლა იგი თავის მშობლიურ საჩხერეში იმყოფება.

**— რამდენადაც ვიცი, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას ათენის ოლიმპიადის 2-3 საგზურის მოპოვებას გეგმავს.**

— სამწუხაროდ, ვანკუვერის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 2003 წლის ნოემბერში გაიმართება, მონაწილეობას ვერ მივიღებთ. ლიცენზიების გაცემა გაისად გაგრძელდება. აპრილის დასასრულს კიევში დანიშნულია ევროპის 2004 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ნაკრების ღირსებას 8-9 ძალოსანი დაიცავს. რა თქმა უნდა, მათ შორის იქნება გიორგი ასანიძეც. დაგეგმილი ლიცენზიის მოპოვება, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია.

**— ვანკუვერის ფიცარნაგზე კახი კახიაშვილი თუ გამოვა?**

— ჩემი აზრით, კახიაშვილი სწორედ კანადის ასპარეზობაზე გაინაღდებს ათენის თამაშების საგზურს და მონაწილეობას მიიღებს თავის მეოთხე ოლიმპიურ თამაშებში. როგორც შევიტყვე, კახიმ წონითი კატეგორია შეიცვალა და ათენის ფიცარნაგზე 94 კილოგრამ წონაში იასპარეზებს.

ესაუბრა
**შალვა ძირია.**



**სურათზე: ვანო გრიქუროვი მითითებებს აძლევს თავის მოსწავლეს ალეკო ნოზაძეს.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

ფეხბურთი

## ეროვნული ჩემპიონატების ამბავი

**შაბათს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ჩვენი ყურადღება, ცხადია, იმ გუნდების ორთაბრძოლებისკენ იყო მიპყრობილი, რომლებშიც ქართველი ლეგიონერები გამოდიან.**



გერმანიის ბუნდესლიგის II ტურში „შალკე“, რომლის შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა ლევან კობიაშვილმა, სტუმრად „მიუნხენს“ დაუზავდა – 1:1.

„ფრაიბურგმა“ (მის ღირსებას ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილიც იცავდნენ) „ჰანზას“უმასპინძლა. ეს მატჩიც ფრედ – 2:2 დამთავრდა.

„რეინჯერსმა“ შოტლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში 4:0 მოუგო „კილმარნოკს“. ზურაბ ხიზანიშვილმა ბოლომდე ითამაშა ეს მატჩი, შოთა არველაძე კი ტრავმის გამო მოედანზე არ გამოსულა.

გიორგი ნემსაძის „დანდიმ“ სტუმრად „მოზერვილს“ სძლია 3:0.

აქვე გაუწყებთ ეროვნულ ჩემპიონატებში გამართული ორთაბრძოლების შედეგებს.

**გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური.** „კიოლნი“ – „კაიზერი“ 1:2, „ბოხუმი“ – „ჰამბურგი“ 1:1, „დორტმუნდი“ – „ვოლფსბურგი“ 4:0, „ფრაიბურგი“ – „ჰანზა“ 2:2, „ჰანოვერი“ – „ბაიერნი“ 3:3, „მიუნხენი“ – „შალკე“ 1:1, „ვერდერი“ – „გლადბახი“ 1:1.

**4-4 ქულით I-VI ადგილებს იყოფენ „დორტმუნდი“, „ჰანოვერი“, „ვერდერი“, „ბაიერნი“, „გლადბახი“ და „მიუნხენი“.**

**საფრანგეთი. I ლიგა. II ტური.** „მარსელი“ – „ოსერი“ 1:0, „ლილი“ – პსჟ 1:0, „ბასტია“ – „მეცი“ 0:2, „ბორდო“ – „მონპელიე“ 0:1, „ლე მანი“ – „აიაჩო“ 0:1, „ლიონი“ – „მონაკო“ 3:1, „ნანტი“ – „ლანსი“ 2:0, „ნიცა“ – „სოშო“ 1:0, „რენი“– „ტულუზი“ 1:0, „სტრასბურგი“ – „გენგამი“ 2:0.

**„მარსელი“, „ლილი“, „ნიცა“ და „აიაჩო“ 6-6 ქულით დაწინაურდნენ.**

**შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური.** „დანფერმლაინი“ – „სელტიკი“ 0:0 , „რეინჯერსი“ – „კილმარნოკი“ 4:0, „დანდი იუნაიტედი“ – „ჰიბერნიანი“ 1:2, „ჰართსი“ – „აბერდინი“ 2:0, „მოზერვილი“ – „დანდი“ 0:3, „პარტიკი“ – „ლივინგსტონი“ 1:1.

**რუსეთი. პრემიერლიგა. XX ტური.** „ტორპედო“ – „ზენიტი“ 1:2, „რუბინი“ – „დინამო“ 2:1, „კრილია“ – „ტორპედო მეტ“ 2:0, „სატურნი“ – „როსტოვი“ 2:1, ცსკა – „ალანია“ 3:0, „შინიკი“ – „ურალანი“ 2:1.

**უწინდებურად ცსკა ლიდერობს (21 თამაშიდან) 44 ქულით. მეორე ადგილზეა „სატურნი“ (20 თამაში) – 37 ქულა. 35 ქულით მესამე საფეხურზე „ზენიტმა“ გადმოინაცვლა.**

**თურქეთი. I დივიზიონი. I ტური.** „სამსუნგი“ – „ბეშიქთაში“ 1:3, „ბურსა“ – „გაზიანთეფი“ 0:0, „გალათასარაი“ – „დიარბაქი“ 2:1, „გენჩლერი“ – „ელაზიგი“ 2:3, „ქონიასფორი“ – „ტრაბზონი“ 3:3.

**სლოვაკეთი. I დივიზიონი. IV ტური.** „ბისტრიცა“ – „პეტრჟალკა“ 5:2, „დუბნიცა“ – „ტრნავა“ 2:1, „პუხოვი“ – „ტრენჩიკი“ 2:0, „სლოვანი“ – რუზომბეროკი“ 2:1, „ჟილინა“ – „ინტერი“ 2:2.

**7-7 ქულით I-IV ადგილებს „პუხოვი“, „პეტრჟალკა“, „დუბნიცა“ და „ბისტრიცა“ იყოფენ.**

**ბელგია. I დივიზიონი. I ტური.** „ანდერლეხტი“ – „ანტვერპენი“ 3:1, „შარლერუა“ – „ლიერსი“ 0:1, „ბეერსხოტი“ – „მონსი“ 1:0, „ლოკერცენი“ – „სტ. ტრუიდენი“ 0:0, „ვესტერლო“ – „ლუვიე“ 0:0.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თაობა

# ] t c b r f



**სალტარი გოგონაა, ვერცხლისწყალივით მოძრავი და ხალისიანი, ფათერაკების მოყვარულიც. ათი წლისაც არ არის და უკვე იმდენი კურიოზი გადახდენია, რომ თვლა არა აქვს.**

**ჯესიკა მელიქოვა 1993 წლის 16 დეკემბერს დაიბადა. თბილისის 47-ე სკოლის მე-5 კლასში სწავლობს. წყალხტომაში 2000 წლიდან ვარჯიშობს ალექსანდრე და ირაკლი ბართაიების ხელმძღვანელობით. შარშანწინ ათწლიანთა საქართველოს პირველობაზე III ადგილი დაიკავა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. 2002 წელს სტრასბურგის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირზე 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინებიდან ხტომაში ოქროს მედლები მოიპოვა. წლეულს სზოლნოკის (უნგრეთი) საერთაშორისო ტურნირზე პირველი იყო ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში.**

– სპორტული ოჯახიდან ვარ, – მითხრა ჯესიკამ. – ბებიაჩემი – იზაბელა კოჩენოვსკაია მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტის ოსტატი იყო, მერე მწვრთნელად მუშაობდა. დედაჩემი ანჟელა ტონოიანი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში თამაშობდა ფრენბურთს.

**– შენ წყალხტომა რატომ აირჩიე?**

– ინგლისელი ნათლია მყავს, გრემ ფარნელი. იგი დედაჩემთან ერთად მუშაობდა ნავთობკომპანიაში. ახლა თურქეთშია. ნათლიაჩემს საკუთარი სახლი ესპანეთშიც აქვს ოკეანის სანაპიროზე. ასე მითხრა, ცურვას თუ ისწავლი, მალაგაში დაგპატიჟებო. ეს იყო 2000 წელს. დედას ვთხოვე და „ლაგუნა ვერეში“ მომიყვანა. აქ კი ირაკლი მასწავლებელი გავიცანი. ცურვაც ვისწავლე და წყალში ხტომაც.

**– ნათლიამ თუ შეასრულა პირობა?**

– როგორ არა. ერთხელ ესპანეთში წამიყვანა, ორჯერ – ლონდონში.

**– ის თუ გახსოვს, უცხოეთში სად იყავი შეჯიბრებებზე?**

– ახლავე ჩამოგითვლით ქალაქებს: კიოლნი, პარდუბიცე, სტრასბურგი, სზოლნოკი. ყველაზე მეტად კიოლნი მომეწონა. იქ ოჯახებში ვცხოვრობდით. ჩემი მასპინძელი იყო თანატოლი გოგონა რობინ კილიშაკი. გერმანიაში შეჯიბრებამდე სამი დღით ადრე ჩავედით. შესანიშნავ აუზში ვივარჯიშეთ. ნეტავ, ჩვენც გვქონდეს ისეთი აუზი. რობინმა თავის სკოლაშიც წამიყვანა, მასწავლებელი და კლასელები გამაცნო.

**– მოგეწონა იქაურობა?**

– რა ვიცი. იქ ბავშვები თავის გემოზე არიან. ვისაც უნდა, გაკვეთილზე ჭამს, ზოგი გარეთ გადის, ზოგიც შემოდის.

**– ჩვენთანაც რომ ასე იყოს?**

– რას ამბობთ, აქაური ბიჭები გაკვეთილიდან რომ გაუშვათ, უკან აღარ მობრუნდებიან და კლასი დაცარიელდება.

**– შეჯიბრების შესახებ რას იტყვი?**

– პირველად ვიყავი საერთაშორისო ტურნირზე და ვნერვიულობდი. ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში II-III ადგილებს ვიყოფდი, მაგრამ ბოლო ცდა გავაფუჭე და მე-7 ადგილზე გავედი. ბრინჯაოს მედალი რობინმა მოიპოვა.

საზღვარგარეთ ყველაზე მეტად სტრასბურგში გამიმართლა – ორი ოქროს მედალი ავიღე. დაჯილდოების დროს მეორე-მესამე ადგილებზე გასული ავსტრიელი და გერმანელი გოგონები შურით მიყურებდნენ.

**– უნგრეთშიც ხომ გახდი ჩემპიონი?**

– კი, ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში. ერთმეტრიანი ტრამლინიდან ბოლო ხტომა იქაც გავაფუჭე და საბოლოოდ მე-4 ადგილი დავიკავე.

**– ვარჯიში, ალბათ, დიდ დროს გართმევს და სწავლაში ხელი გეშლება. როგორი ნიშნები გაქვს?**

– ყველანაირი, უფრო – ოთხები და ხუთები. შეჯიბრებების დღეებში გაკვეთილები მიცდება, მაგრამ მასწავლებლები და კლასელები მეხმარებიან, რომ ჩამორჩენა დავძლიო.

**– რუსულ საკონტროლოში რატომ მიიღე ორიანი?**

– არა, მზია მასწავლებელს ორიანი არ დაუწერია. ოღონდ გამაფრთხილა, ასეთი რამ აღარ გაიმეოროო.

**– რა გააკეთე?**

– ისეთი არაფერი. მასწავლებელმა საკონტროლო 16 დეკემბერს დაგვაწერინა. მეც ავიღე და დღეს დაბადების დღე მაქვს-მეთქი, დავწერე და რვეული დავხურე.

**– წყალხტომის გარდა, რა გიტაცებს?**

– ხატვა მიყვარს ძალიან. ბევრი ნახატი მაქვს. შარშან დედამ კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სკოლაში წამიყვანა. გამოცდები კარგად ჩავაბარე და ჩამრიცხეს. რომ ვნახე, სპორტში ხელი მეშლებოდა, სკოლას თავი დავანებე. დედა გამიბრაზდა, მაგრამ, აბა, რა მექნა?

**– გავიგე, ცხოველებიც გყვარებია...**

– ვგიჟდები. ჩემმა მეგობარმა ლიზიკო მაღრაძემ ბაჭია მაჩუქა. უკვე კურდღელი გახდა. სიონში შეკრებებზე რომ მივდივართ, იქ ცხენებით ვსეირნობ ხოლმე. დიდი ჭკვიანური თვალები აქვთ.

**– დელფინებზე ჯდომაზეც რომ არ ამბობ უარს?**

– (ეცინება) ეს დედამ გითხრათ?.. შარშანწინ ვაკის საცურაო აუზში დელფინები რომ მოიყვანეს, მთელი ოჯახით დასათვალიერებლად წავედით. ისეთი კარგები იყვნენ, ისეთი კარგები, რომ მეც მომინდა მათთან ერთად ცურვა. ერთ იქაურ ძიას ვკითხე, აუზში ჩასვლა შეიძლება-მეთქი? თუ ფულს გადაიხდი, შეიძლებაო, მითხრა. ბილეთი ნათლიამ ამიღო. ერთი საათი ვიცურავე დელფინებთან ერთად, თევზებიც ვაჭამე და სურათებიც გადავიღე.

**– არ შეგეშინდა?**

– რატომ უნდა შემშინებოდა. დელფინები ხომ ადამიანების მეგობრები არიან. ცუდია, რომ თბილისში დელფინარიუმი არ არის. ჰო, მართლა, ზაზუნებიც ძალიან მიყვარს...

– მე კი გული გადამიქანე მაგ შენი ზაზუნებით, – ჩაერია საუბარში ჯესიკას დედა, რომელიც აქამდე ჩუმად გვისმენდა. – წლეულს პირველ მარტს საღამოს ჩვეულებრივ დავიძინეთ. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ რაღაც ფხაკუნი მომესმა. გამიკვირდა, ოთახში თაგვი საიდან შემოგვეპარა-მეთქი. შუქი ავანთე. მივაყურადე, ხმა ჩემი საწოლიდან მოდიოდა. ნელა მივუახლოვდი, ლეიბი გადავწიე და რას ვხედავ – კედელთან. მუყაოს პატარა ყუთი დევს. თავი ავხადე და ვიკივლე – შიგ ორი თაგვი იჯდა.

– თაგვი კი არა ზაზუნა, – შეუსწორა ჯესიკამ.

– ვეუბნები, ესენი საიდან მოიყვანე-მეთქი. ტირილი დაიწყო: რატომ გაიგე, რა იყო იმ ყუთში, მინდოდა ზაზუნებით, დედის დღე მომელოცაო, 3 მარტს მაინც ის ზაზუნები მაჩუქა...

**– ჯესიკა, სულ წყალმხტომელი ხომ არ იქნები. ცხოვრებაში რა გსურს გამოხვიდე?**

– უწინ ექიმობა მინდოდა, მაგრამ დედას არ მოსწონს ეს პროფესია. მწვრთნელი უნდა გახდეო, მითხრა. რასაც ჩვენ, გოგონები, ირაკლი მასწავლებელს ვაბრაზებთ, ხომ შემომაკვდება ბავშვები ხელში. ისევ, ალბათ, ტელეჟურნალისტობას ავირჩევ, მაინც ბევრი ლაპარაკი მიყვარს...

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**



**სურათებზე: ჯესიკა ნათლიასთან ერთად; მოფერება დელფინებსაც სიამოვნებთ.**

ფეხბურთი

# გენერალური რეპეტიცია „შევარდენზე“

**გუშინწინ, როგორც გაუწყეთ, „შევარდენის“ სტადიონზე საქართველოს ფეხბურთელთა XV ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში თბილისის „თბილისმა“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა. სტუმართა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ დაცვით ტაქტიკას მიმართა. არც გაემტყუნება, რადგან ორიოდე დღეში „სიონს“, როგორც საქართველოს თასის გათამაშების შარშანდელ ფინალისტს, უეფას თასზე გასვლითი მატჩი ელის! სლოვაკეთის „პუხოვთან“.**

ვერ ვიტყვით, რომ ბოლნისელთა ჩანაფიქრმა ბოლომდე გაამართლა. მართალია, პირველ ტაიმში მათი ერთ-ერთი კონტრშეტევა 38-ე წუთზე გოლით დამთავრდა (ანგარიში შენგელიამ გახსნა), მაგრამ შესვენების შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო 15 წუთში ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ და საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე წონასწორობაც აღადგინეს (ავტოგოლი გუჩუამ გაიტანა).

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ბოლნისელთა თავკაცს ვესაუბრე.

– საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და უეფას თასის გათამაშებისთვის ნორმალურად მოვემზადეთ, – მითხრა ბატონმა თემურმა. – საწვრთნელი შეკრება ლაგოდეხში გავიარეთ. ჩემპიონატის პირველ-ორ ტურშიც ურიგოდ არ გვითამაშია. დღევანდელ მატჩში კი „პუხოვთან“ სათამაშო რამდენიმე ვარიანტი მოვსინჯეთ. ცხადია, უფრო დაცვით ტაქტიკას ავირჩევთ და კონტრშეტევებით ვეცდებით საწადელის მიღწევას. ძლიერი გუნდია და მასთან გაშლილი თამაში ჩვენთვის წამგებიანი იქნება.

**– გეტყობათ, მეტოქის დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად შეგისწავლიათ?**

– საიდან? სლოვაკებმა მხოლოდ ერთი მატჩის ვიდეოჩანაწერი გამოგვიგზავნეს, ისიც წინა სეზონში 31 მაისს „დუბნიცასთან“ შეხვედრისა. მართალია, „პუხოვმა“ ეს ორთაბრძოლა წააგო, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ კარგად დაბალანსებული კოლექტივია. მისი წევრები ბევრს მოძრაობენ, ხისტ ფეხბურთს თამაშობენ, ფიზიკურად ძლიერები არიან. შარშან სლოვაკეთის თასის ფინალში „ინტერს“ მოუგეს. ხუთი ლეგიონერი ჰყავთ. როგორც გავიგე, ახალი სეზონისთვის რამდენიმე ფეხბურთელი დაუმატებიათ. ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელ სეზონში 3 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან.

**– ახალი ფეხბურთელები თქვენც შეგიძენიათ...**

– დიახ, გუნდი გავაძლიერეთ. სხვადასხვა კლუბიდან მოვიწვიეთ ჭიჭვეიშვილი, გუჩუა, გონჩაროვი, გაბიდაური, დარსანია, ლაბაძე. მართალია, ურიგოდ არ გამოვიყურებით, მაგრამ, ვფიქრობ, შეთამაშება მაინც გვაკლია.

**– ახალი ფეხბურთელების მოწვევა ევროტურნირისთვის გუნდის ერთჯერადი გაძლიერებისთვის არის გამიზნული, თუ მათ შენარჩუნებასაც ეცდებით?**

– წლეულს ქვეყნის პირველობის სამეულში მოხვედრა დავგეგმეთ. ასე რომ, ძლიერი გუნდი გვჭირდება.

**– რომ არაფერი ვთქვათ ეროვნულ ჩემპიონატზე, ევროტურნირში მონაწილეობა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ვინ გეხმარებათ?**

– უპირველესად, რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ჯაფარიძე. მისი დამსახურებაა, რომ „სიონი“ დღეს მოწინავეთა შორისაა. დიდად გვეხმარება კვარციტის დირექტორი ზურაბ ლობჟანიძე. ამ ორი ადამიანის ინიციატივითა და მცდელობით უმოკლეს დროში ევროპული სტანდარტების დონეზე კეთილმოეწყო ბოლნისის ცენტრალური სტადიონი. მთლიანად შეიცვალა მინდორი – გაუკეთდა შესანიშნავი დრენაჟი, ახალი საფარი. დამონტაჟდა ტრიბუნები ხუთი ათას მაყურებელზე. ასევე, კეთილმოეწყო გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა ოთახი. ორჯერ გვესტუმრა უეფას დელეგაცია შესამოწმებლად. ორი დღის წინათ „პუხოვთან“ საპასუხო მატჩის გამართვის უფლებაც მივიღეთ, რამაც ძალიან გაგვახარა. ახლა მთავარია, ჩვენმა ფეხბურთელებმა უჩვენონ გულშემატკივრებს კარგი თამაში.

**– წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის შესახებ რას იტყვით?**

– იგი ახალი დაწყებულია, თუმცა, უკვე გამოიკვეთა საინტერესო კონტურები. ჩანს, დაძაბული სეზონი გვექნება. გუნდები საკმაოდ მოძლიერდნენ. უწინდელივით აშკარა ფავორიტები და აუტსაიდერები აღარ არიან. ყოველივე ამან ქართული ფეხბურთის წინსვლას უნდა შეუწყოს ხელი.

ესაუბრა
**ვაჟა ნოსირელი.**





**სურათებზე: „თბილისისა“ და „სიონის“ შეხვედრის მომენტი; თემურ მახარაძე ბოლო დარიგებას აძლევს თავის შეგირდს.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## აქეთური, იქითური

### ანდრეასიანი და „არარატი“ — კანონგარეშე?

**სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი რუბენ აირაპეტიანი კარგა ხანია დაუპირისპირდნენ ცნობილ არკადი ანდრეასიანს. ჯერ იყო და მათ მიაღწიეს იმას, რომ გაათავისუფლეს ერევნის „არარატის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობისაგან, შემდეგ კი ჩემპიონატი „არარატსაც“ დაატოვებინეს. ახლა ქვეყნის პირველობაზე მხოლოდ 8 კლუბი გამოდის.**

ამის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით და შეიძლებოდა რაღაც საგანგებო მოვლენადაც კი არ ჩაგვეთვალა, თუ არა თვით ფეხბურთელის დის, კარინა ანდრეასიანის წერილი, რომლითაც მან მიმართა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს. ეს მართლაც რომ არნახული მოვლენაა.

„სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია არკადი ანდრეასიანის ფეხბურთიდან განკვეთის პოლიტიკას ატარებს. ამასთან ერთად განზრახული იყო კლუბ „არარატის“ (ერევანი) ეროვნული ჩემპიონატიდან განდევნა და ფედერაციამ მიაღწია კიდევაც მიზანს. ჩემი ძმის წინააღმდეგ გაჩაღდა დევნისა და მოსპობის მიზანდასახული კამპანია, ისევე, როგორც კლუბ „არარატის“ წინააღმდეგ, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტ რუბენ აირაპეტიანის ფაქტობრივად პირადი საკუთრების, კლუბ „პიუნიკის“ რეალური კონკურენტია“.

ერთი სიტყვით, „არარატი“ ჩემპიონატიდან იმიტომ გააძევეს, რომ „პიუნიკს“ გაჩემპიონებაში ხელი არავინ შეუშალოს.

### ყველაზე პოპულარული — ტოტი

**„გაზეტა დელო სპორტმა“ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო იტალიის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის დასახელება.**



ასეთად აღიარეს „რომას“ თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც ხმების 28,2 პროცენტი მოაგროვა.

### ზიდანი 2005 წლამდე ითამაშებს

**როგორც ზინედინ ზიდანმა განაცხა-**



**და, მას ჯერ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს მადრიდის „რეალთან“ და ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ კლუბმა ყველა შეჯიბრებაში გაიმარჯვოს.**

როგორც კი კონტრაქტი ამოიწურება, ზიდანი საერთოდ აპირებს კარიერის დამთავრებას.

### ვინ გაპატიებს!

**პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციამ დაადგინა, რომ 22 ივნისის მატჩი „გარბარნიასა“ და „სვიტს“ შორის წინასწარ მოლაპარაკებული შედეგით დასრულდა.**

„გარბარნიას“ უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად საკუთარ მინდორზე აუცილებლად მოგება სჭირდებოდა. მან „სვიტის“ 6 მოთამაშეს რამდენიმე ათასი ევრო მისცა და მოიგო კიდეც ანგარიშით 3:0.

როცა ყოველივე ეს სიყალბე დამტკიცდა, მატჩის შედეგი გაუქმდა. „გარბარნიას“ ჩაეთვალა წაგება 0:3 და იგი დაბალ დივიზიონში გადაიყვანეს. ახალ სეზონში მას ჩამოაკლდება 10 ქულა, ანუ ჩემპიონატს მინუს 10 ქულით იწყებს ჯერ ეს დანაკლისი უნდა აანაზღაუროს, ქულები კი შემდეგ მოაგროვოს. რაც შეეხება „სვიტის“ იმ 6 ფეხბურთელს, რომლებმაც ქრთამი აიღეს, ისინი სამუდამოდ არიან დისკვალიფიცირებული.

### დაიმსხვრევა თუ არა კერპი?

**ფეხბურთის სამყაროში ადრეც შექმნილა კერპები (თუნდაც პელესი და მარადონასი), მაგრამ ისეთი აურზაური, როგორიც ახლა დევიდ ბექჰემის გარშემოა ატეხილი, მაინც უმაგალითოა. გასაგებია, რომ ბექჰემი უყვართ ინგლისში, დიდად აფასებენ ესპანეთში, მაგრამ ის, რაც ჩინეთსა და იაპონიაში ხდება...**

ჯერ კიდევ შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ინგლისის ნაკრების ორი მოთამაშე იაპონურ სკოლას ეწვია. ესენი იყვნენ რიო ფერდინანდი და დევიდ ჯეიმსი. როგორც კი მოსწავლეებმა დაინახეს, რომ სტუმართა შორის არ იყო ბექჰემი, ისეთი ყიჟინა და აურზაური ატეხეს, რომ საჭირო გახდა მათი საყვარელი ფეხბურთელის გამოძახება. როცა, ბოლოს და ბოლოს, ბექჰემი სკოლაში მივიდა, ზოგმა სიხარულისაგან ტირილი დაიწყო, ზოგს კი მოზღვავებული გრძნობებისაგან ხმა ჩაუვარდა.

იაპონიაში ბექჰემის სურათს ნებისმიერ ადგილას წააწყდებით. პოპულარობის თვალსაზრისით მან ზიდანიც ჩამოიტოვა და რონალდოც. გაღიმებული ბექჰემი სილამაზის სალონების რეკლამაზეა ასახული, კანფეტების კოლოფზეც. „რეალმა“ ტურნე იაპონიაში ყველა დანარჩენი ვარსკვლავის გარეშეც რომ ჩაატაროს, ოღონდ ბექჰემი ჰყავდეს, გასტროლების წარმატება უზრუნველყოფილია.

საოცარი ცნობა გამოქვეყნდა პარიზის გაზეთ „ეკიპში“. დიდძალი გულშემატკივარი მოვიდა ბექჰემის ვარჯიშზე, რომელზეც დასწრება 50



ევრო ღირდა. რაც შეეხება მატჩს, აქ 250 ევროდ ღირებული ბილეთები მყისვე გაიყიდა, თუმცა იგი საშუალო ფენის ჩინელის ორთვიან ხელფასს უდრის.

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ მონაცემებით, ბექჰემმა 2002 წელს სხვადასხვა გზებით 14 მილიონი ევრო მიიღო. გარდა წლიური ხელფასისა (6,6 მილიონი, თვიურად 548 816 ევრო), მან დიდი თანხა მიიღო სხვადასხვა სარეკლამო კონტრაქტებით. ახლა „რეალში“ ბექჰემი იმდენივეს იღებს, რამდენსაც „უმაღლესი კატეგორიის“ მოთამაშეები რაული, ფიგუ, ზიდანი და რონალდო, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს ამდენი შემოსავალი რეკლამებიდან.

ახლა ექსპერტები სხვასთან ერთად ასეთ კითხვასაც სვამენ: დაიმსხვრევა თუ არა კერპი, თუ ბექჰემს „რეალში“ თამაში არ წაუვიდა?!

### მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლო

**12 სექტემბერს ბერლინში საზეიმო ცერემონიალის დროს წარადგენენ ფიფას ე. წ. საფეხბურთო გლობუსს (ეს გახლავთ გიგანტური გლობუსი, რომლის დიამეტრი 15 მეტრია და ამიერიდან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის სიმბოლოდ ითვლება. ამ გლობუსს ყველა იმ გერმანულ ქალაქში ჩაიტანენ და აჩვენებენ, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს).**

საზეიმო ცერემონიალს დაესწრებიან გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიდერი, ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

### 17 სეზონი „სერია ა“-ში

**როგორც ლეგენდად ქცეულმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, შეიძლება 2003-2004 წლების სეზონის შემდეგ შეწყვიტოს თამაში.**

37 წლის ბაჯო („ბრეშია“) უკვე 17 სეზონის განმავლობაში თამაშობს იტალიის უმაღლეს დივიზიონში.

### მოსკოვის მერი აბრამოვიჩის წინააღმდეგ

**მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი აღშფოთებულია ბიზნესმენ რომან აბრამოვიჩის მიერ ასტრონომიულ თანხის ფასად ლონდონის კლუბ „ჩელსის“ ყიდვის გამო.**

— რუსეთს მიაფურთხეს, „ჩელსიში“ უზარმაზარი ფული გადაიხადეს, ამით მიატოვეს ჩვენი კლუბები, რომლებსაც მხარდაჭერა სჭირდებათ.

ასეთი განცხადება მერმა ქალაქის მთავრობის სხდომაზე გააკეთა, როცა მოსკოვური სპორტის განვითარების პერსპექტივებს იხილავდნენ.

აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის“ ყიდვას „არაპატრიოტული საქციელი უწოდა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი სტეპაშინმა, თვით აბრამოვიჩმა კი მოსკოვის მერიას მიმართა წინადადებით, ააშენოს საფეხბურთო კლუბ ცსკა-სათვის სპორტული კომპლექსი.

### ერთხელ გადაურჩნენ, მეორედ კი — ვერა

ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის (19 წლამდე) იტალიელების დიდი უპირატესობით აღინიშნა. მათ ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს პორტუგალიელები.

საინტერესოა, რომ მთელი ასპარეზობის მანძილზე მხოლოდ ერთადერთმა გუნდმა შეძლო იტალიელებთან ფრეს მიღწევა. ჯგუფური ტურნირის დროს ეს მოახერხეს სწორედ იმავე პორტუგალიელებმა.

### იხსნის „სპარტაკს“ უფასო აბონემენტები?

**როგორც მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა იუწყება, გამოშვებულია უფასო აბონემენტები პენსიონერების, ინვალიდებისა და 14 წლამდე ბავშვებისათვის.** ამრიგად, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გუნდის მხარდამჭერთა რიცხვი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

### რაული? არავითარ შემთხვევაში! ვიერი? არავითარ შემთხვევაში!

**100 მილიონი ევრო — ასეთ თანხას სთავაზობს „ჩელსი“ (წაიკითხე — მილიარდერი რომან აბრამოვიჩი) მადრიდის „რეალს“ რაულის სანაცვლოდ. ამაზე ესპანელებმა ცივი უარი შეუთვალეს: რაული საერთოდ არ იყიდება.**

თუ რაული არა, მაშინ ვიერი! „ჩელსიმ“ მოლაპარაკება გამართა „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან ამ გამოჩენილი გოლეადორის შეძენის თაობაზე (როგორც ზოგი ინგლისელი ჟურნალისტი წერს, მათ თითქოს ნახეს კიდეც ვიერი ლონდონში), მაგრამ იტალიელებიც ზუსტად იგივეს ამბობენ: ვიერი არ იყიდება! მორჩა და გათავდა.



## ძიუდო

# ჩემპიონატისთვის ემზადებიან

**ბოლო წლებში საქართველოს ძიუდოისტები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. ათენის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო სეზონიც გამარჯვებებით დაიწყეს. მარტო ის რად ღირს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნესტორ ხერგიანმა ოქროს მედალი მოიპოვა, დავით მარგოშვილმა — ვერცხლისა, ხოლო რამაზ ჩოჩიშვილმა ბრინჯაოსი. გუნდურ პირველობაში კი ჩვენებმა იოლად გააღწიეს ნახევარფინალში და გადამწყვეტი შეხვედრები წლის მიწურულს ექნებათ.**

მანამდე კი კიმონოს ქართველ ოსტატებს ძიუდოს ფუძემდებელთა სამშობლოში მოუწევთ ვაჟკაცობის გამოჩენა. ამომავალი მზის ქვეყანა (ქალაქი ოსაკა) 11 სექტემბრიდან მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. სადაც წონითი კატეგორიების მიხედვით 5-5 საუკეთესო ელადის საგზურებს დაიმსახურებს.

სეზონის ამ უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლებისთვის დიდი ხანია, ჩვენი ფალავნები მონდომებით ემზადებიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა შეგირდების მრავალმხრივი გამოცდის შემდეგ გუნდის საბოლოო შემადგენლობაც დააკონკრეტა. ოსაკაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ნესტორ ხერგიანი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ.), ზურაბ ზვიადაური (90 კგ.), ივერი ჯიქურაული (100 კგ.), ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) და რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური).**

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, როგორც ბატონმა შოთა ხაბარელმა ამას წინათ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უსახსრობის გამო იაპონიაში გამგზავრება სათუო გახდა. ფინანსთა სამინისტროს სპორტისთვის თანხების გამოყოფაზე საუბარიც არ სურს. ამგვარ სიტუაციაში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, ოლიმპიური ჩემპიონები — დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი სახელმწიფო მინისტრთან — ავთანდილ ჯორბენაძესთან მივიდნენ თხოვნით. ბატონი ავთანდილი სხვა დროსაც დახმარებია ქართველ ათლეტებს და ჩვეული გულისხმიერებით ამჯერადაც თანადგომა აღუთქვა მათ. როგორც შევიტყვეთ, სახელმწიფო მინისტრს ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილისთვის აგვისტოს ბოლომდე სპორტსმენთა ვალების სრულად გასტუმრებაც დაუვალებია.

იმედია, ფინანსთა სამინისტრო ახლა მაინც ჩვენს ათლეტებს მშრალზე არ დატოვებს.

P.S. **გუშინ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისწინა ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე ბორჯომს გაემგზავრა.**

**მამუკა ძოზალავა.**



## კონტაქტები

### სტუმრად — იაპონელები

ქართველი მოჭიდავეების ძალა და მიღწევები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. იგი კარგად მოეხსენებათ ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებსაც, რომლებიც ძიუდოს ჯადოქრებად ითვლებიან, თორემ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიან. ამიტომაც იაპონელებმა სალიცენზიო ტურნირებისთვის მოსამზადებლად ქართველ ფალავნებთან ერთობლივი წვრთნა არჩიეს. ჩვენს ქვეყანას მათი 15-კაციანი დელეგაცია ესტუმრა. მის შემადგენლობაში არიან ორივე სტილით მორკინალნი. მათ უკვე ორჯერ ივარჯიშეს გორსა და თბილისში. სტუმრები საქართველოში 16 აგვისტომდე დარჩებიან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მოგონებანი გარდასულ დღეთა




# ეს იყო ერევანში

**ამ საჭადრაკო პარტიას არც „უკვდავის", არცა „განუმეორებელის" თუ „შთამბეჭდავის" ეპითეტი არ დაუმსახურებია. იგი უბრალოდ, ჩემთვის ერთ-ერთი დაუვიწყართაგანია. გათამაშდა 1960 წელს, მეზობელი რესპუბლიკის დედაქალაქში — ერევანში.**

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიულ კომიტეტში მიიღეს მოწვევა მოძმე სომხეთიდან, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში გავეჯიბროთ და თან, ახალ პირობებში პარტიულ-პროფკავშირული მუშაობის გამოცდილება გავუზიაროთო ერთმანეთს...

მაგიდის ჩოგბურთში ჩვენები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, ჭადრაკში კი, როგორც მახსოვს, იმავე ფარდობით გავიმარჯვეთ, მიუხედავად იმისა, რომ წამოსვლა ვერ მოახერხა ჩვენი გუნდის ლიდერმა, ცნობილმა მოჭადრაკემ ვიქტორ სერედამ, რომელიც სახალხო მეურნეობის საბჭოს ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის სამმართველოს მთავარი ინჟინრი გახლდათ.



თქვენი მონა-მორჩილი მესამე დაფაზე თამაშობდა, თეთრი ფიგურებით (თუ არ ვცდები, მატჩი 10 დაფაზე იმართებოდა). ჩემი მეტოქე ჩემსავით პირველთანრიგოსანი გრანტ ნიკოგოსიანი იყო, მანქანათმშენებლობის ბიულეტენის რედაქციის თანამშრომელი.

21-ე სვლის შემდეგ (...ეe3) დაფაზე ასეთი მდგომარეობა შეიქმნა:



გათვლა მარტივია: შეწირვის მიღების შემთხვევაში თეთრები კარგავენ ლაზიერს. მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც მეტოქე ფიქრობს.

**22. ...hg hg 23. მe4! ეf3 24. მf6 ეf6 25. იc2 კf5 26. ლh4 კc2 27. მფc2 მფf8 28. ლe4 ეe6 29. ეh8 მფe7 30. ლh4! მფd7 31. ეd8 ეd8 32. ეf1 f5 33. ეg1** ... პარტია ინერციით კიდევ გაგრძელდა, მაგრამ როცა 46-ე სვლაზე მხედარიც დაკარგეს, შავებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

მომდევნო წლის თებერვალში საპასუხო შეხვედრები მოეწყო, ამჯერად, ცხადია, ჩვენთან — თბილისში. სპორტული შედეგი იგივე იყო. რევანში არ შედგა — არც ჩოგბურთში და არც ჭადრაკში, მათ შორის მესამე დაფაზეც ჩემი პარტია გრანტ ნიკოგოსიანთან 44-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა...

მაგრამ რამდენიმე წინადადებით ისევ დავბრუნდეთ ერევანში.

დილა დაიწყო საუზმით კაფეში, სადაც ამაღელვებელი სპონტანური შეხვედრა მოხდა ქართველ მანდილოსანთან, რომელიც მიმტანად მუშაობდა. ამდენი ქართველი ერევანში რამდენი ხანია, არ შემხვედრიაო და სიხარულის ცრემლებად იღვრებოდა.

კაფედან სტალინის ძეგლთან წაგვიყვანეს, სადაც სამახსოვრო ფოტოც გადაგვიღეს, საუბარში ამაყად გვეუბნებოდნენ, საბჭოთა კავშირში სტალინის ამხელა ძეგლი არსად არისო...

სპორტული პაექრობის დამთავრების შემდეგ სადილზე მიგვიწვიეს. ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თამადას — სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს (გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს) სუფრა, ძირითადად, ქართულად მიჰყავდა. სუფრასთან შეკრებილი მასპინძლების საგრძნობი ნაწილი (თავადაც მიხვდებით, ვინ იქნებოდა მიწვეული ასეთ შეხვედრაზე) ქართულად საუბრობდა. თანდათან ცხადი გახდა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს ე. წ. აქტივში თბილისელ სომხებს თავისი წონადი სიტყვა ეთქმოდათ.

**გიორგი მახარაძე.**

**სურათებზე: საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დელეგაცია ქ. ერევანში; ი. სტალინის ძეგლი ერევანში.**

კალათბურთი

# ფინალში გავიდნენ

**სლოვაკეთში გუშინ დამთავრდა ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საფრანგეთის, საქართველოს, პოლონეთის, ბელგიის და ლუქსემბურგის გუნდებიც მონაწილეობდნენ.** ჩვენმა ბიჭებმა, როგორც გაუწყეთ, მიკერძოებული მსაჯობის შედეგად პირველი შეხვედრა ორი ქულით წააგეს ფრანგებთან, შემდეგ კი ზედიზედ დაამარცხეს ლუქსემბურგელები და სლოვაკები. შაბათს გამოცდილი მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილის შეგირდებმა (მეორე მწვრთნელია დავით უსტიაშვილი) პოლონელებს მოუგეს 19 ქულით — 85:66 და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს (წუხელ ისინი ბელგიელებს ხვდებოდნენ. მატჩი გვიან დამთავრდა, თუმცა, ორთაბრძოლის შედეგს ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა).

უცხოეთის პრესაც აღნიშნავს, რომ საქართველოს 1986 წელს დაბადებულ კალათბურთელთა ნაკრები (გიორგი ცინცაძე — სიმაღლე 192 სმ, ლაშა გამყრელიძე — 182, გიორგი გურასპაული — 180, ბესიკ ლექავა — 191, დავით გვიმრაძე — 197, ტატო ჯანეზაშვილი — 206, დავით საყვარელიძე — 199, დავით გიორგობიანი — 195, მანუჩარ მარკოიშვილი — 196, ნიკა ჩხატარაშვილი — 202, ნიკა ნუცუბიძე — 198, ვიქტორ სანიკიძე — 202) ამ შესარჩევ ტურნირში საუკეთესოა. არბიტრებს აშკარად რომ არ დაეჩაგრათ, ქართველები ფრანგებსაც მოუგებდნენო. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი გუნდის წევრთა უმრავლესობამ შარშან მოსკოვში დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჭაბუკთა სპორტულ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და მე-3 ადგილი დაიკავა. იქაც რომ არა მსაჯების მიკერძოება, ჩვენები ჩემპიონობას მოიპოვებდნენ.

გუნდის გამოკვეთილი ლიდერია მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც „ბენეტონის" შემადგენლობაში როგორც იტალიის ჩემპიონატში, ასევე ევროლიგაში რამდენიმე მატჩი ითამაშა.

ვულოცავთ ჩვენს ახალგაზრდა კალათბურთელებს ფინალურ ეტაპზე გასვლას.

**გიორგი გაგუა.**



ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## პირადი მაგალითით - II ნაწილი



**დღეს წარმოგიდგენთ წელისა და ზურგის კუნთების ვარჯიშებს საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის — ნაზი ზოზიშვილის შესრულებით. იგი პირადი მაგალითის გამოყენებით წვრთნის თავის შეგირდებს და მაღალ შედეგებსაც აღწევს.**

ზურგისა და წელის კუნთების ვარჯიშები

**1. ამოწევები შტანგით (სურ. 1, 2).**

ძირითადად ამუშავებს წელის კუნთებს, თუმცა იტვირთება ზურგის და ფეხის კუნთებიც.

სრულდება 4-6 მისვლა 3-3 გამეორებით.

**2. ამოწევები შტანგით ზურგსუკან (სურ. 3, 4).** დადექით ფეხის წვერებზე, ქუსლებით დაეყრდენით ამაღლებულ ფიცარნაგს. საშუალო ტაცით ამოსწიეთ შტანგა.

სრულდება 4 მისვლა 6-6 გამეორებით.

**3. მარცხენა ხელით და ფეხით დაეყრდენით ჰორიზონტალურ სკამს (სურ. 5).** მარჯვენა გამართული ხელით ასწიეთ ჰანტელი რაც შეიძლება მაღლა. შემდეგ შეცვალეთ ხელი. ვარჯიში გამიზნულია ზურგის უგანიერესი კუნთების დასამუშავებლად.

თითოეული ხელისათვის სრულდება 6-6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**

**თორღვა მაზრაქველიძის ფოტო.**
















გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ტალანტი

**ჩემს წინ მაღალი, თხელი, მუქად შეფერილი გოგონა ზის და უშუალო ღიმილით მიმზერს. მე ახლახან მოვისმინე მისი სიმღერები და ჯერაც ძარღვებში დამიდის.**

**მღერის ქართულად, რუსულად, ინგლისურად, იტალიურად, დახვეწილად საუბრობს უცხო ენებზე. ახლა ესპერანტოსაც სწავლობს.**

**წლების მანძილზე იყო პრეზიდენტის სტიპენდიატი.**

**უყვარს ბალზაკი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ვაჟა... თითქმის ზეპირად იცის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება.**

**გატაცებულია კლასიკური მუსიკით. ძალიან უყვარს ესტრადაც, ისე, რომ ჩაიკოვსკის კონცერტს მღერის.**

**ერთი სიტყვით, მე ძალიან საინტერესო გოგონას ვესაუბრები. მინდა, უფრო ახლოს გავიცნო იგი.**

# tc tcvthfklff jmhjc [vbs7

## ანუ ქვეყანა მშვენიერია, და თუ მას რამე დაემუქრება, როგორც ყოველთვის, სიყვარული გადაარჩენს

### სიმღერით ადგმული ენა

10 წლის გოგონა იტალიაში, მინი ლა-სკალაში არიას ასრულებს ანტონი ვებერის „კატებიდან“. მას განსაკუთრებული მოწონებით ხვდებიან. „ბრავო, ბრავისიმო!“

მოსკოვის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ფესტივალზე იგი ბრაუნთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად გამოდის.

ბორჯომის ფესტივალზე მას საუკეთესო ვოკალისტად მიიჩნევენ.

მეცენატმა ანზორ კიკალიშვილმა, რომელიც თავის დროზე სოსო პავლიაშვილს, პაველ ბურეს და ბევრ სხვა ნიჭიერ ახალგაზრდას დაეხმარა, გოგონას სპონსორობა გადაწყვიტა. მომღერალი მოსკოვში აღმოჩნდა, ბავშვობიდანვე ოცნებადქცეულ გნესინების აკადემიაში.

მისაღები გამოცდის დღეს მასთან ქალბატონი ნანი ბრეგვაძე მივიდა და, რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულსა და მოწიწებას, სთხოვდნენ ავტოგრაფს... თანვე გაოცებით უყურებდნენ მას, ვისაც თავად ნანი გულშემატკივრობდა და ამით უზომო ბედნიერებასა და სიამაყეს გვრიდა. გოგონა მაშინ უკვე 17 წლის იყო.

ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიწყო.

სოფიკო ნიჟარაძე 1985 წლის 6 თებერვალს დაიბადა. ენა ღიღინით აიდგა. 2-3 წლისამ უკვე ზეპირად იცოდა ალა პუგაჩოვას რეპერტუარი, თუმცა სიტყვათა მნიშვნელობა არ ესმოდა. ამ დროიდან მას სიმღერას ჯერ ქალბატონი ლიზიკო, თამრიკო ჭოხონელიძის დედა, შემდეგ კი თვითონ ქალბატონი თამრიკო ასწავლიდა. 9 წლის განმავლობაში ეუფლებოდა ფორტეპიანოს, შემდეგ ორი წელი ვოკალს დაუთმო.

სოფიკო კლასიკურმა მუსიკამ გაიტაცა, რაშიც დიდი წვლილი ნიკა მემანიაშვილს მიუძღვის. დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული საესტრადო სიმღერები მისგან შორს იყო. უნდოდა მუსიკა, რომლითაც თავის შესაძლებლობებს, ნიჭს, ხმის დიაპაზონს გამოავლენდა. გაჩნდა კლასიკისა და საესტრადო ჟანრრის შერწყმის იდეა. ოთარ ყუფუნიას არანჟირებითა და მისი მეუღლის ტექსტით ამღერდა ჩაიკოვსკის პირველი და რახმანინოვის მესამე კონცერტები.

სოფიკოს დასათმობად არც გათავისებული კლასიკა ემეტება, არც – ესტრადა. რაკი ერთი ბომონი ვერ დაიტევს ორ კერპს, გააერთიანა ორივე – ესტრადა კლასიკის ან, პირიქით, კლასიკა ესტრადის ელემენტებით.

ეს იყო სიახლე, თამამი, მაგრამ წარმატებული. რუს პროფესიონალებს მისი მოსმენისას გაოცება გამოეხატათ სახეზე – ჩაიკოვსკის კონცერტი და სამყაროს მშვენიერებაზე მომღერალი ძლიერი ხმა, სხვათა შორის, 17 წლის გოგონას ყელიდან ამოსული. იგი კი, სანამ ამღერდებოდა, ბავშვი გეგონებოდათ, ისე იღიმებოდა. სულო ცოდვილო, იქნებ უსიამოდ დაევლო ტანში კლასიკასთან ასე შეთამაშებას. მაგრამ... მოუსმინეს და... “Çî ëîòîé ãîëîñ Ðîññèè – Ñîôèÿ Í èæàðàäçå” .

– ასე გამოაცხადეს. ისე დაიბნა, სცენაზე გასვლა შეუგვიანდა. უცებ ვერ გაერკვა, რომ ეს მას უწოდეს „Çîëîòîé ãîëîñ“ თან, რატომღაც, რუსეთის. ეუცნაურა, მაგრამ დიდ პატივად ჩათვალა.

რუსები მას უკვე თავიანთ მომღერლად მიიჩნევენ და ყოველ ფესტივალზე რუსეთის სახელით გამოსვლას სთხოვენ. „მე ქართველი მომღერალი ვარ. ვსარგებლობ რუსეთის ფართო მასშტაბებით, სივრცით და ჩემს შესაძლებლობებს ვავლენ, მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო ქართული კულტურის წარმოჩენაში“.

მისი სიმღერის მოსმენის შემდეგ ეჭვი არავის შეეპარება, რომ გოგონა ყოველ ოცნებას აიხდენს.

### მაღვიძარა სინუს კვადრატ ალფა

ქალბატონი ქეთი შვილის განსაკუთრებულ სიზარმაცეს უსვამს ხაზს. არადა, სოფიკოს სკოლაში არასდროს მიუღია ოთხიანი. ერთნაირად კარგად სწავლობდა ლიტერატურას, ისტორიას, ფიზიკას, ქიმიას... თუმცა, სწავლობდა დედის მკაცრი ზედამხედველობით.

შეკითხვაზე – რა გაქვს ხვალისთვის გაკვეთილად – სოფიკოს ერთი პასუხი ჰქონდა: – იგივე. ქალბატონი ქეთი მის კლასელებთან ოპერატიულად რეკავდა. ირკვეოდა, რომ „იგივე“ არა აქვთ. სხვა გზა არ იყო და სოფიკოც სწავლობდა, სწავლობდა სწრაფად და ღრმად. ყოველ მასწავლებელს იგი თავის მომავალ კოლეგად მიაჩნდა, მაგრამ სოფიკომ ჟურნალისტობა გადაწყვიტა. საბოლოოდ კი ჯერ – გნესინების აკადემიაში, შემდეგ – თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა სოფიკო ბორჯომის ფესტივალის ერთ დღეზე გვიყვება, როცა დათო დოიაშვილმა მის ოთახში შეიხედა...

ქალბატონი ქეთი გალაკტიონს უკითხავდა შვილს, რომელსაც საგამოცდოდ ცხრა ლექსი ჰქონდა სასწავლი. ღამე იყო. დედა გატაცებით კითხულობს ლექსებს, შვილს კი... ეძინა. მას შემდეგ, თუკი სოფიკოს ხელში ფურცელსა და კალამს დაინახავდი, დოი ღიმილით გაეცლებოდა ხოლმე, – ალბათ, ფიზიკის ამოცანებს ხსნის და ხელი არ შევუშალოო.

ნიჟარაძეების ოჯახში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა განათლებას. სოფიკოს ეს აუცილებლად მიაჩნდა მომღერლისთვის, როგორც ქვეყნის წარმომჩენი სახისთვის. ჰოდა...



ყოველ დილას სასთუმალთან ეჯდა დედა და ასე აღვიძებდა: სინუს კვადრატ ალფას პლუს კოსინუს კვადრატ ალფა, უდრის ერთს.

### ქართველი ბოშა

გნესინების აკადემიის საესტრადო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სოფიკო მოსკოვში თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში ჩაირიცხა. საამისოდ მან წარმატებით გაიარა სამი ტური და ხუთი გამოცდა.

კომისიის წინაშე წაიკითხა კრილოვის იგავ-არაკი, პუშკინისა და ცვეტაევას ლექსები, ეპიზოდი „ომი და მშვიდობიდან“, ფრანგული ლექსი, აივნის სცენა „რომეო და ჯულიეტადან“ ინგლისურად, იმღერა იტალიურად, შეასრულა ქართული ხალხური სიმღერა, დაბოლოს, ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი.

იხ. მე-12 გვ.

## ახალგაზრდობის შემოქმედება

# სიჭაბუკე და ლექსი ერთია




**ლექსო ლეკიაშვილი დედოფლისწყაროელია, დაიბადა 1982 წელს და სკოლა იქვე დაამთავრა. ამჟამად იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია, წერს ლექსებს.**

**ახლახან გამომცემლობა „სანმა“, გამოსცა ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი – „ეს მე ვარ, ლექსო ლეკიაშვილი“, რომლიდანაც გთავაზობთ ერთ უსათაურო ლექსს.**

„მგელი კი ისევ მგელია,
არ მოერჯულდება მგელი“
**შოთა ნიშნიანიძე**

ალბათ, ყველანი ყოფილხართ ცირკში,
ქალიც და კაციც, პატარაც, დიდიც,
და, ალბათ, იცით, ცირკის ცხოველთა
დღეები როგორ „ლამაზად“ მიდის.

ცირკში ცხოვრება ყველას „ალაღებს“:
ორანგუტანგი — დევი ამხელა
კარგად ასრულებს ტრიუკ-მალაყებს
ერთი ნატეხი შაქრის საჭმელად.

კობრა ამაყად მიყელყელაობს,
(მთელი პუბლიკა დამაბული ზის)
და თვითონ მეფე-ლომიც ბუქნაობს
ერთი ნატეხი შაქრის გულისთვის.
....
მაგრამ მზეა თუ უბერავს ქარი,
(ჩემს სათქმელს მუდამ სიზუსტე ახლავს);
იქ ერთი რაღაც არასდროს არი, —
ამ ცხოველს ცირკში ვერასდროს ნახავთ.

ზაფხულია თუ ზინავს ზამთარი,
მას ჯილდოს ნაცვლად სიფათი ელის,
ეს არც ვეფხვია და არც აფთარი,
ეს არის მგელი, უბრალო მგელი.

მგელი არასდროს მგლობას არ მოშლის,
მას არ ანაცვლებს ბედის ტრიალი,
ის ერთი არის მთელს სამყაროში
თავისუფლების გიჟი ტრფიალი.

და მისი მგლური ემუილის შიშით
მგელის ღირსებას ვერავინ ლახავს...
....
დასჟირნობენ მხეცები ცირკში
და არენაზე ცეკვავენ ლაღად.

როცა სიბერე ყველას აწვალებს,
როცა იქცევა ჯილდო ყულფებად,
მაშინ ხვდებიან, როგორ გაცვალეს
შაქრის ნატეხში — თავისუფლება.
...
ამბობენ, თურმე უღრან ტყეში ცხოვრობდა
მგელი,
მას ეკუთვნოდა ტყე და იქვე პატარა ველი,
ის არ ელოდა არც სიცივეს და არც ვარდობას,
არვის უფრთხოდა, თავისუფლად დანავარდობდა.

მაგრამ... ერთხელაც მოევლინა დარდი გვიანი:
მან ერთ დღეს ტყეში დაინახა ადამიანი,
და ერთ საღამოს, მზე რომ მთისკენ გადაიხარა,
თავის სოროდან მგელი ჩუმად გამოიპარა.

მან მსხვერპლიც ნახა და უჩუმრად რომ მიეპარა,
გაიხსნა ბადე და მგელს თავზე გადაეფარა.
როცა მიწაზე მონადირის ჩრდილი გადიდდა,
მგელმა თოკები გადაღრღნა და გაძვრა ბადიდან.

მან იცოდა, რომ მოკვდებოდა და არ დარდობდა,
იცოდა მგელმა, იცოდა და მაინც გარბოდა.
გაიქცა მგელი და გაისმა თოფის გრიალი...
ღია პირიდან გადმოსჩქეფდა სისხლი თქრიალით...

თავისუფლება უყვარდა და სიკვდილს ჩაბარდა,
მოკვდა და სულით არ დაეცა, ტყვედ არ ჩავარდა.
...
თუ ვინმემ თქვენი შებმა სცადოს, არ დაიჯეროთ,
ნუ გადააქცევთ წუთისოფელს მხოლოდ
სუფრებად
და ცხოვრებაში ეტალონად გვავდეთ, ბიჭებო,
მგელი, რომელიც შეეწირა თავისუფლებას.

## მსოფლიო შტრიხებში

# მთვარე გახდა?

**არ დაიზარეს და, სამხრეთ-აფრიკელმა ასტრონომებმა გაზომეს მთვარე. მათ დაასკვნეს, რომ 1995 წლის შემდეგ ჩვენი ღამის მნათობი გახდა. თუ მაშინ მთვარის დიამეტრი 2 მილიონ 170 ათასი მილი იყო, ახლა ის 120 მილით შემცირდა. სწავლულთა აზრით, თუ პროცესი ასეთი სისწრაფით გაგრძელდა, 3917 წლისათვის მთვარე ფეხბურთის ბურთს დაემსგავსება. მისი „გახდომის“ პერსპექტივები კი დედამიწის მოსახლეობისათვის ძალზე შავბნელი იქნება.**

**ცნობილია, რომ დედამიწის ეს თანამგზავრი „პასუხს აგებს“ ოკეანის მიქცევა-მოქცევის ამპლიტუდაზე, პოლარული ყინულეთის დაცვაზე, კლიმატისა და წელიწადის დროთა ცვალებადობაზე. მეცნიერებს ჯერჯერობით ვერ აუხსნიათ მთვარეზე დაწყებული „გახდომის“ პროცესი, რაც, შესაძლოა, მსოფლიო კატასტროფად იქცეს.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტალანტი

# tc tcvthfklff jmhjc [vbs

(მეთერთმეტე გვერდიდან)

როგორ ფიქრობთ, თქვენ არ გაოცდებოდით? საგამოცდო კომისიას, მით უფრო, არ გამოეპარებოდა ტალანტი. სოფიკო ნიჟარაძე მიუზიკლის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და საინტერესო პროექტებშიც მაშინვე დაასაქმეს.

ევგენი გინზბურგი „ჩხიკვთა ქორწილს" დგამს ცირკში. ქეთევანი (სოფიკო) უკვე შეეჩვია 29 მეტრის სიმაღლეზე „ფრენას" და სიმღერას. სხვათა შორის, სოფიკო ბავშვობაში უკვე იყო ქეთევანი, ოღონდ არა — ჩხიკვი. თქვენ ყველას გახსოვთ პატარა ქეთოს ხმა („იავნანამ რა ქნა?!").

ქართველი მომღერალი კიდევ ერთ მიუზიკლში, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში" მონაწილეობს. პირველივე მოსმენით იგი უყოყმანოდ დაამტკიცეს მთავარ როლზე. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა უკვე ერთი წლის დაწყებული იყო და ოქტომბერში პრემიერაც იგეგმება. ესმერალდა კი ახლახან აღმოაჩინეს. მაგრამ პარტიები სოფიკოს უკვე თითქმის მზად აქვს.

## ფესვები – ქართული სიმღერა

მოსკოველი მასწავლებლები საგანგებოდ აღნიშნავდნენ სოფიკო ნიჟარაძის მომზადების დონეს, რასაც მომღერალი დოდო დიასამიძის დამსახურებად თვლის. მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა მაინც ქართულმა სიმღერამ მოახდინა.

სიმღერას თითქოს მარილი აკლია, თუ გულიდან არ ამოდის. ქართველობამ სოფიკოს სიმღერადქცევა ასწავლა. მის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ სიმღერას, რითაც, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მასთან რამდენჯერმე მოსულან რუსები და რუსული ასოებით ქართული ტექსტების ჩაწერა უთხოვიათ.

სოფიკო ბედნიერია, როცა ყოველ ნაბიჯზე ხედავს რუსთა მიერ ქართული კულტურის სიყვარულს და აღიარებას. თავადაც დიდ სითბოს გრძნობს მათგან.

ამერიკაში გამგზავრების წინ პაველ ბურემ გამოსამშვიდობებელი საღამო მოაწყო. კონცერტი სოფიკოს უნდა გაეხსნა. ნერვიულობდა — პუგაჩოვას, კირკოროვის, კობზონისა და სხვა ცნობილი მომღერლების წინაშე უნდა წარმდგარიყო. პირველივე ნოტის აღებამ დაამშვიდა. იმღერა. ალა ბორისოვნამ რამდენჯერმე გადაკოცნა, ურთიერთობისა და გვერდში ამოდგომის სურვილი გამოთქვა.

კონცერტის ბოლოს, ბანკეტზე, რუსული კულტურის მოღვაწეებმა ქართველი გოგონას სადღეგრძელო შესვეს.

## დიდი გზა ევროპაში...

საქართველოში შეიძლება სიმღერა ისე, რომ ტრადიციები არ დაკარგო, მაგრამ არც სხვათა მიერ გავლილი გზა ტკეპნო; სიმღერა უცხოური მელიზმების გარეშე, გენებში კოდირებული ნიჭით, ძლიერი ხმით, ცოცხლად.

სოფიკო ნიჟარაძე პოლიტიკური ვნებათაღელვების მიღმა დგას. იგი მღერის, კითხულობს, კერავს, ქარგავს და ეს სიამოვნებს. მას არ ეხება სეკვესტრი, პროვოცირება, „კმარას" აქცია... მთავარი ქართული კულტურაა, რომელმაც ქართული სული ჩაუდგა, სიმღერა შეაყვარა. პირადი ამბიციები მისთვის იმდენად მიუღებელია, რომ წარმატებებზე უხერხული ღიმილით საუბრობს.

სოფიკოს ბევრი სამომავლო მიზანი აქვს. რჩეულ კომპოზიტორთან 10-15 სიმღერის მომზადება, ალბომის გამოშვება, კლიპის გადაღება, ხოლო შემდეგ — ევროპაში წასვლა... მოსკოვი დასაწყისია.

სოფიკო ნიჟარაძეს უყვარს სიმღერა, თავისი ქვეყანა. უყვარს რუსეთიც, მსოფლიოც და მღერის: ქვეყანა მშვენიერია, და თუ მას რამე დაემუქრება, როგორც ყოველთვის, სიყვარული გადაარჩენს.

## სადაც ასე თბილად გიღებენ

ვუსმენ.

ხმა აქვს ძლიერი, ძლიერი.

ღიმილი — ბავშვური, გადამდები.

საუბარი გაგვიგრძელდა. მე ვერ დავივიწყებ, რომ საგაზეთო წერილის ჩარჩოებს არ უნდა გავცდე. სიმართლე გითხრათ, ძნელია, წამოხვიდე სახლიდან, სადაც ასე თბილად გიღებენ, მეგობრობას გთავაზობენ და ფინჯან ყავასთან აზარტულად გესაუბრებიან ხელოვნებაზე.



**რუსუდან გახარია.**

ალიართალი-ბალიართალი

# ზოგჯერ ჟურნალისტებიც ვიცინით...

## შოთას საიდუმლო

ჩვენი ერთობ პროზაული — ეკონომიკის განყოფილების ყველაზე ხშირი და სასურველი სტუმარი, ლექსის უზომო ტრფიალი შოთა ხოდაშნელია. ხელფასს რომ ავიღებთ, შესვენებაზე ამოვიტანთ პურს, ყველს, ძეხვს, ერთ ბოთლ „ეშმაკის ცეცხლს" და ვმუსაიფობთ. გავიხედავთ და შოთა მოგვიკაკუნებს. ისიც ჯიბეზე ხელს მოისვამს და გარეთ გასვლას დააპირებს.

— მოიცა, სად გარბიხარ, — ეუბნება ოთარ ხუციშვილი.

— სულ თქვენს კმაყოფაზე ხომ არ ვიქნები, — ბურტყუნებს შოთა, რომელსაც ჩვენზე მცირე ხელფასი აქვს.

— სულ ჩვენს კმაყოფაზე რომ იყო, სიგანეში ეგრე ვერ გახვიდოდი, — იცინის ოთარი.

ერთხელაც ჩვენს შოთას მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწყეს და კაი სუფრაც გაუშალეს.

— აი, თურმე, რატომ მიდიხარ სიგანეში, — ახლა მე ვეუბნები შოთას.

## რა არის კაპიტალიზმი?

მეგობარი:

— კაპიტალიზმი რა არის? ახლავე აგიხსნი. სასწრაფო სარედაქციო დავალება მივიღე — უალკოჰოლო სასმელების ქარხნიდან რეპორტაჟი უნდა მომემზადებინა. ცხელოდა, ცეცხლი მეკიდებოდა. შევედი დირექტორთან. საათზე მეტი მექაქანა. ახალი ეტიკეტის საჩვენებლად მაცივრიდან ხუთჯერ მაინც გამოიღო ლიმონათის ბოთლი, ცხვირწინ დამიტრიალა და ხუთჯერვე უკან შედგა.

მეცინება.

— რას იცინი?

— მგონი, რაღაცას ვხვდები. ამას წინათ ჟურკავშირში პრესკონფერენციაზე ლუდის ქარხნის დირექტორი მოიწვიეს. რედაქტორმა, ხეირიან ლუდს მაინც დალევო. წავედი. რა დაგკარგვია, რას ეძებ! ცარიელ წყალზე გადაგვატარეს.

— ჰოდა, აი, ეგ არის კაპიტალიზმი, როცა საკუთარ ჯიბეში ხელის ჩაყოფა ყველას ეზარება, — ნიშნისგებით მეუბნება მეგობარი.

## ვინ ეწევა იაფფასიან სიგარეტს?

ერთი ტელეგადაცემის ირგვლივ დიდი ორომტრიალია. მთავარი რედაქტორის მოადგილეს ბონდო მძინარაშვილს ახალი ტელევიზორი აქვს, ამიტომ მასთან ვიკრიბებით.

— ვინ ეწევა იაფფასიან სიგარეტს? — კითხულობს ბონდო.

თემურ კინწურაშვილი და მამუკა ვაშაკიძე სიგარეტიან ხელს უნებურად ზურგს უკან მალავენ.

— რატომ ეწევით მაგ სიგარეტს? — არ ცხრება ბონდო.

— იმიტომ, რომ უკეთესი არავინ შესთავაზა, — ვეუბნები.

## მისაყოლებელი

დეკემბრის ნახევარიც მიიწურა. ხელფასს ველოდებით, სულ ხურდების ჩხრიალით დავდივართ. რომელიღაც ავტორმა ბერძნული ბრენდი მოგვართვა. ერთი სული გვაქვს, სანამ გემოს გავუსინჯავთ, მაგრამ... მისაყოლებლის ფული ფააფუ!...

— აქ დალიეთ, მისაყოლებელი კი შინ მიაყოლეთ, — „გამოსავალი" მოძებნა არჩილ მანჯგალაძემ, რომელსაც ხელფასის დროული მოტანაც ევალებოდა...

## რითი სჯობს „ქიგული" „ვოლგას"

ხუთ საათზე ბორჯომში „მცირემიწელებთან" შეხვედრაა. ჩემი „ქიგულით" სწორედ იქ მივიჩქარით მიხეილ დავითაშვილი, თამარ გოთუა და შალვა თათარაშვილი. ბატონი მიხეილი წარამარა შემახსენებს, რომ ჩვენს წინ არც ერთი მანქანა არ უნდა წავიდეს.

გორის აღმართი ავათავეთ და თავქვე დავეშვით. ჩემს წინ „ტრალერი" მიჩოჩავს. გასწრება თავისუფლად შეიძლება. როგორც კი გვერდში ამოვუდექი, მოპირდაპირე მხრიდან „ვოლგა" გამოვარდა. ვგრძნობ, თანდათან როგორ ვიწროვდება დერეფანი. ცოტაც და, მოსახდენი მოხდება.

სალონში ბუზის გაფრენას გაიგონებთ. და აი, ჰორიზონტი უეცრად განათდა და ჩემი „ქიგული" „ტომრიდან" ამოხტა. ოფლმა დამასხა, მხოლოდ ახლა გავაცნობიერე რეალური საშიშროება, რომლის წინაშეც სულ რაღაც წამების წინ ვიდექით.

— ბატონო მიხეილ, თუ იცით, რითი სჯობს ჩემი „ქიგული" თქვენს „ვოლგას"? როგორც იქნა, ამოვღერღე.

— რითი? — შეცვლილი ხმით მეკითხება.

— ახლა „ვოლგაში" რომ ვმსხდარიყავით, ამ ვიწრო ხვრელში ვერ გავეტეოდით...

— ფრხილად უნდა იაროთ, — ძლივს ამოთქვა თამარ გოთუამ.

## დაბერტყეს...

ჩვენი კოლეგა და მეგობარი ცოტნე ალბუთაშვილი ყოველი შეხვედრისას რაღაც სალაღობოს მიამბობს. ეს ნაუბარიც ერთ-ერთი შეხვედრისას ჩავიწერე.

— ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში" რომ ვმუშაობდი, ჯიმი მაისურაძეს დავუმეგობრდი. ერთხელ დამირეკეს, ხევსურეთში უნდა წამოხვიდეო. ჩავსხედით ვერტმფრენში. ჯიმის გავანდე, საუკუნეა, სოფელში არა ვყოფილვარ, კაკლები მაქვს დასაბერტყი-მეთქი.

— შენ ჩაბანოს გზა მასწავლე, დანარჩენი მე ვიციო.

ვასწავლე.

მეგონა, ხუმრობდა. გავიხედე და მართლა ჩაბანოს თავზე არ დავეკიდეთ?

პროპელერმა მტვრის ბული დააყენა. დაბლა რა ხდებოდა, გარჩევა ჭირდა. ხუთიოდე წუთის მერე ჯიმიმ „მომახსენა", დავალება შესრულებულიაო.

სოფელში ორი კვირის შემდეგ ჩავედი. მამაჩემი ლოგინში დამხვდა. დედაჩემმა, კაკლიდან ჩამოვარდაო...

პირკატა მეცა: თურმე, როცა ჯიმი მაისურაძე ჩვენს კაკლებს „ბერტყავდა", მამაჩემი მაინცადამაინც მაშინ ასულა ხეზე და ჰაერის ტალღას მიწაზე დაუნარცხებია!

მეცინება, მაგრამ, რა გამაცინებს?

— ეგ არაფერი, დღეს-ხვალ წამოვდგები, მაგრამ ჩვენი ცუგო დაიკარგა, კაცო, იმ დღის შემდეგ თვალი აღარ მოგვიკრავს, — ხელი ჩაიქნია მამაჩემმა.

## სასჯელი

— „მწვანე ჯეილობაში" ერთი სიმპათიური გოგონა გავიცანი, — მიამბობს ცოტნე. ჩავისვი მანქანაში და მოვუსვი ქალაქგარეთ. წინ ბულდოზერი შემომეყარა. მემანქანემ გააჩერა და სიგარეტი მომთხოვა. მივაწოდე. ბარემ, მომიკიდეო. ჩამოდი და მოგიკიდებ-მეთქი. იუკადრისა. მე ჩემი გზით წავედი... უკან რომ ვბრუნდებოდი, მთელი გზა გარდიგარდმო გადათხრილი დამხვდა. რას ვიზამდი? ხელები დავიკაპიწეთ და ორმოს ამოვსებას შევუდექით. მთელი ღამე მოვანდომეთ და თავიდან ფეხამდე ამოვიგანგლეთ. იმ შობელძაღლმა, ყველაფერი არ ჩამამშხამა?

## ისევ ენა გამომიყავით...

შოთა ხოდაშნელმა ქალაქის მერიაში განცხადება შეიტანა, „ვეფხისტყაოსნის" ზეპირადმცოდნეთა კლუბისთვის მსუბუქი ავტომანქანა გვესაჭიროება და იქნებ გამოგვიყოთო. რამდენიმე დღეში გამოიძახეს.

— როგორ არის საქმე? — ვკითხე მერიიდან დაბრუნებულს. დაძმარებული სახე ჰქონდა.

— დიდებულად. მითხრეს, მსუბუქი ავტომანქანები არა გვაქვს, ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ტროლეიბუსებია და აბა, იმას ხომ ვერ გამოგიყოფთო. ტროლეიბუსი არ მინდა, ისევ ენა გამომიყავით-მეთქი...

**ელგუჯა ლებანიძე.**

(დასასრული იქნება)

მსოფლიო შტრიხებში

## რომი ქალმა დააარსა?

ოდითგანვე ცნობილია, რომ იტალიის დედაქალაქი ლეგენდარულმა რომულმა დააარსდა. მაგრამ იტალიურ გაზეთ „მესაჯეროში" გამოქვეყნებულ ცნობას თუ დავუჯერებთ, ის კი დაფუძნებულია ბერძნული წარმოშობის სიცილიელი პოეტის სტესიხორას მოსაზრებებზე, ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის დამაარსებელი ქალი უნდა ყოფილიყო.

ძველი წელთაღრიცხვით 639-555 წლებში მცხოვრებ ამ პოეტს ეკუთვნის იმ ისტორიის ავტორობა, რომლის მიხედვითაც ტროას ერთ-ერთი მკვიდრი ქალბატონი, სახელად რომა თანამემამულეთა ჯგუფთან ერთად რამდენიმე ხომალდით ჩავიდა იმ ადგილებში, სადაც შემდეგ დაარსდა რომი (იტალიურადაც და ლათინურადაც — რომა). ეს ადგილები ტროელ ქალბატონს ისე მოეწონა, რომ დობილები დაიყოლია, დაეწვათ ხომალდები და იქ დარჩენილიყვნენ. ასეც მოიქცნენ, რის შემდეგ რომას დაჟინებით საფუძველი ჩაუყარა ამ ქალაქს, რომელსაც შემდეგ თანამემამულეებმა რომა დაარქვეს.

მეცნიერებმა დაუჯერეს ამ პოეტურ მონათხრობს, ვინაიდან სტესიხორა აღწერილი ამბების თითქმის თანამედროვედ მიიჩნიეს. ის დაიბადა ასი წლის შემდეგ იმ თარიღთან, რაც რომის დაარსების წლად არის მიჩნეული, — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 753 წელი.

ოფიციალური ლეგენდა გვამცნობს, რომ ქალაქი რომულმა დააარსა მას შემდეგ, რაც თავისი ტყუპი ძმა რემა შემოაკვდა. ძმები წაიკიდნენ იმ ადგილის გამო, სადაც კედელი უნდა აღმართულიყო. თავად ისინი ლეგენდარული ენეის შთამომავალნი იყვნენ და მათ ძუძუ მგელმა აწოვა.

## შიშველი ბრიტანელის საიდუმლო

ალბათ გახსოვთ, ამას წინათ ინგლისის დედოფლის კორტეჟს შიშველმა მამაკაცმა რომ გადაურბინა, რაც თითქოს დაუჯერებელი ამბავი იყო. ასეთი რამ ბოლო ხანებში იშვიათად როდი ხდება დიდ ბრიტანეთში.

პრესის რამდენიმე ცნობამ დედიშობილა ტურისტის გამოჩენის შესახებ, შეაშფოთა პოლიცია. ამბობდნენ, რომ მოგზაურს მხოლოდ ფეხსაცმელი ეცვა და პანამა ეხურა, ზურგზე კი კარგად მოზრდილი ჩანთა ეკიდა. ასე „მსუბუქად" ჩაცმული ტურისტი თერთმეტჯერ მოხვდა პოლიციის განყოფილებაში. ხუთჯერ ის დააპატიმრეს და დაადანაშაულეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. ერთხელ ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც განამწესეს.



ბოლოს და ბოლოს, შიშველმა ტურისტმა ჟურნალისტებს გაანდო თავისი საიდუმლო — მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ქვეყანა გადაელახა სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე. ამას არნახული სიცხეც უწყობდა ხელს. მან სტარტი აიღო სამხრეთში, კორნავალის საგრაფოში, მოგზაურობის დამთავრებას კი ჩრდილო შოტლანდიაში აპირებდა.

სტივ გრაფი 44 წლისაა, ამჟამად უმუშევარია, უნდა, რომ ასე გამოხატოს პროტესტი ბრიტანული გულცივობისა და მკაცრი კანონების წინააღმდეგ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მოთხრობა

# გვეშველება ვითომ რამე?

საღამოვდება, წვიმს. ზამთარი გულს ირეცხავს მარტის კუდით. მთავარი გზიდან სასოფლოს გადასახვევთან, მოზაიკის ნარჩენებიან გადასაყუდრში, ნელ-ნელა გროვდება ხალხი.

— რაც ამ მოზაიკაზე ცემენტი დახარჯეს, სახურავისთვის რომ გაემეტებინათ, ვიქნებოდით ახლა სიმშრალეში, — ბუზღუნებს შუახნის კაცი.

— რა მოეპარათ მერე? შენ ფიქრობ, ქურდობა ახლა ისწავლეს ჩვენმა დიდკაცებმა? მილიონობითაა გახარჯულ-გაფლანგული ამისთანა მოზაიკებზე. მაინც, რა იყო ნეტა ამ კედელზე გამოსახული?

— დელფინები და პალმის ჩრდილში წამოწოლილი დამსვენებლები. — ეს ენაკვიმატმა კაცმა თქვა, მიჭყლეტილი ცხვირი და წინ წამოწეული ზედა ტუჩი რომ ჰქონდა. მწარე-მწარეს ისროდა სულ.

საკითხმა კამათი გამოიწვია, ვინ დელფინების არსებობას იცავდა, ვინ — ზვიგენებისას და ვინ კიდევ — მეჩაიე ქალების დასვენების მომენტს.

— სადაა ნეტავი კიჭოლიე უდღეური, რომელი საათია? — ისევ იმან თქვა, როყიო და ენაკვიმატმა.

— გოუფუჭდებოდა ავტობუსი, აქედან რომ წავიდა, მაშინაც ვერ მუშაობდა გამართულად.

— ჰოდა, ქვეყანაა ახლა აგი? მე თქვენ გეკითხებით, შინამდე ვერ მიგვიღწევია ამ გასაცოდავებულ ხალხს, — კვლავ იმან გამოთქვა აზრი, ცხვირმიჭყლეტილმა.

— არაა. აბა, — ტანთხელი კაცი შეეპასუხა — წვიმს, ქარი უბერავს, ხეები ქანაობენ და ჩვენც აგერ შეყუდრებული ვართ. სადაც ქვეყანა არ არის და სიცოცხლე, არც ერთი არ არის იქ, რაც მე ვთქვი.

— კაი, თუ ღმერთი გწამს, ამირან, ნუ გაგვაკვირვე შენი ცოდნის მასშტაბით, ვალიკოს, იცი შენ, მთავრობის აუგის თქმას არაფერი ურჩევნია.

— ჰოდა, რაც მთავრობა და პარლამენტი აირჩიეთ, გყავთ ისეთი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, — არ დათმო ამირანმა.

— ავირჩიე, თუ არა, მუხლჩოქელა ვთხოვე, არიქა, თქვენს იქით გზა და სახიდებელი არა მაქვს, მობრძანდით და მიპატრონეთ-მეთქი — ეს იმან თქვა, მოსაცდელის კედლის მოხატულობით რომ დაინტერესდა პირველად.

— ჰო, კაცო, — იტკიცა ვალიკომ, — პარლამენტი... კიდევ კარგი, რომ დენი არა გვაქვს, თუ არა, გამაგიჟებდა პირდაპირ.

— გაკლია, ვითომ? — გაუბედავად შეეკითხა ვიღაც.

ვალიკომ დიდსულოვნად გაატარა ყურებს შორის შეკითხვა.

— კვირაში ორჯერ მაინც ვახერხებ „კონცერტის“ ნახვას, ვერიჩქას ბიჭთან დავიარები, თორმეტვოლტიანი ტელევიზორი აქვს აკუმულატორზე, თვეში ასე, ერთ-ერთ ნაღდ დაკა-დაკას და სამ-ოთხ შედარებით „მშვიდობიან“ აურზაურს, გამოწერილივით გვიჩვენებენ.

— ჰოდა, რათ გვინდა მერე ამდენი პარლამენტარი? ბრაზილია აგერ...

— აგერ არა, სერს გაღმაა ხომ? — ისევ გაუბედავად შენიშნა ვიღაცამ.

— აგერაა თუ იქ, სადაც არის, ასსამოცმილიონიან ქვეყანას სამოცდათხუთმეტი კონგრესმენი მართავს, თურმე. რა გვჭირს ჩვენ ასეთი გაურკვეველი, სამასამდე პარლამენტარს რომ ვინახავთ? ისე, საქურდლად და თავის დასაცავად უკეთეს ადგილს ვერ მონახავ.

— ჰო, სახელიც და სახრავიც, აწყენთ თუ? — კვლავ ინკოგნიტოდ ყოფნა არჩია ფრაზის პატრონმა.

— გაჩუმდით, კაცებო, რა გჭირთ ასეთი? მოიყრით თავს ორი წუთით და ეძგერებით პოლიტიკას. ცოტა რამე გვაქვს გასარკვევი, აგერ აქვე, ჩვენ რომ მიხედვა შეგვიძლია, ისეთი? თითს არ ვანძრევთ მის გამოსასწორებლად. დაწყნარდით, ვიმსჯელოთ, ვიბაასოთ, — ქალმა თქვა ეს, ადამქამისდროინდელი საწვიმარი რომ ეცვა და მკვირცხლი გამოხედვა ჰქონდა.

— ბაასობდა ერთი და ქე ხედავთ რა კვერცხებსაც ადებინებენ ბალდადში, — ვალიკომ თქვა ეს და თანაგრძნობიანი სიცილიც დაიმსახურა.

კარგა ხანს ხმა არავის გაუღია. მერე ავტობუსი მოიკითხა ვიღაცამ, ვფიქრობ, ახალმოსული იყო.

— სანამდე ჩვენს პუტინს არ გამოვძებნით, მანამდე ასე ამოყირავებული იქნება ქვეყანა, — ამირანმა დაგვიანებით კი, მაგრამ მოხერხებულად გააგრძელა თემა.

— პუტინია თუ ნიპუტნი, არავინ იცის მაგი ჯერ. ისე, იქ როა დალაგებული საქმე, ის თუ გველოდება, კარგად წაგვსვლია მოლოდინიც და იმედიც.

— არაა საშველი და იგია, — წყნარად კი, მაგრამ ნამეტანი ტკივილით თქვა ყავარჯენსდაყრდნობილმა შუახნის კაცმა.

— ნუ ღელავთ, კაცებო, მიხედავს მაგ საქმეს პრეზიდენტი, ძაღლების შესაჭმელად რავა დაგვაგდებს, — იმედიანად ითქვა, ქალის ხმა იყო. მივიხედე, არც მთლად ახალგაზრდა ეთქმოდა, რეზინის ჩექმები, რაღაცნაირი ძველმოდური საწვიმარი ეცვა და თავზე ფარფლიანი ქუდი ეხურა, ძველი. თუმცა სამოს-საბურველს ვერ წაერთმიათ თვალის ელვა და წარბის გაფრენა, ეშხიანი იყო დალოცვილი.

საკითხმა მცირე ჩოჩქოლი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მოსაცდელში აზრი ორად გაიყო, მაგრამ ვის და რის სასარგებლოდ, ამის დადგენა მართლაც რომ ჭირდა.

— ახლა, მგონია, მიაგნეს ქვეყნის წახდენის მიზეზს. ხალხის ქონება რომ დაიტაცეს და გაყვლიფეს ქვეყანა, მიადგნენ იმათ. ჩაადებინებენ ქვეყნის აღმშენებლობაში ნაოხარ მილიონებს...

— კი, კი, ფართოდ გაშალე ჯიბე, — ვალიკომ შეაწყვეტინა ამირანს ქვეყნის ხსნის უებარი გეგმის გამჟღავნება, — იმათ რომ წაართმევენ, ფიქრობ, შენ მოგცემენ? მეტი არაა მტერი, ბოლშევიკებმაც ასე არ ჰქნეს? გაძარცვეს კულაკები, გაამათხოვრეს და თავად შევროს აზიაცკებით, გაბარდის გალიფეებით და ტყავის პალტოებით დაიჯგიმებოდნენ. გავლილი გვაქვს ჩვენ ეს გაკვეთილი, ამირან ჩემო, — ვითომ მოკრძალებას ავლენდა ვალიკო, მაგრამ დაცინვაც ხომ აშკარად ქონავდა მის ნათქვამში?

— მე ვთქვი, ქვეყნის აღმშენებლობაში ჩადებენ-მეთქი! — ხმას აუწია ამირანმა, — შენ თუ ფიქრობ...

— არაფერს არ ვფიქრობ მე, — ჩემდა გასაოცრად, ერთბაშად უკან დაიხია ვალიკომ, — კიჭოლია უდღეურს და მის ჯაყჯაყა ავტობუსს ველოდები აგერ. ადრიელე მინდა შინ მისვლა.

ვალიკოს მიერ დაბალ ტონალობაში გადმოცემულმა განცხადებამ, მართალია, ვნებათაღელვის ცეცხლი შეანელა, მაგრამ სიმდიდრის გადანაწილების საკითხი, როგორც ვამჩნევდი, ასე უბრალოდ არ ეთმობოდათ და ბარე ორი მწარე მოსაზრებაც გამოითქვა.

— თქვენ მგონი... — შუა სვეტს მიყრდნობილმა კაცმა მომმართა, სიგარეტზე სანთებელა რომ მოვუმარჯვე, შემდეგ.

— კი, ბიძია ამბროსი, მიცანით, ანიკოს ძმისწული გახლავართ, რაიონში ვიყავი ჩამოსული. ხვალაც საქმე მაქვს იქ და ვიფიქრე, ვნახავ-თქო მამიდას.

— აუ, რა გაუხარდება ანიკოს, — სიხარულით თქვა ამბროსიმ, — დანატრებულია თავისიანს, ისე, ყოჩაღადაა მაინც.

— ვიცი, ამ ორი თვის წინათ ვიყავი.

ვამჩნევ, ხალხმა რატომღაც ჩვენკენ გადმოინაცვლა, უკეთეს რამეზე თუ ბჭობენო, ალბათ.

— გიშველოს ღმერთმა, მოყვასის სიყვარული ღვთიური მოწოდებაა. სიკეთე ისეთი რამეა, ათკეცად დაგიბრუნდება. ახლა რა მინდა გკითხო, იცი? შენი სამსახურიდან გამომდინარე, ჩვენზე მეტი და სწორი გეცოდინება ამის თაობაზე, გვეშველება, ვითომ, რამე?..

— უშველებელი და უხიდებელი ჩვენს მტერს, ბატონო ამბროსი. რას ჰქვია არ გვეშველება, მაგრამ დრო სჭირდება ამას, იმ ქვეყანაში, ასე თუ ისე, კაცურად რომ ცხოვრობენ ახლა, საუკუნეების წინ ჩაეყარა საფუძველი ცხოვრების იმ წესს, რასაც მისდევენ, ჩვენ...

— უკაცრავად, ჩემო ბიძიკო და არ გეთანხმები მაგ საკითხში, დროო, ბრძანებთ. ღორი რომ ყანას შეეჩვევა, ან უნდა დაკლა, ან დააბა, თორემ წასულია საქმე. ბევრია ჩვენში გაწუწკებული და იმას მოგახსენებთ...

— დავკლათ? — სიცილი მომერია.

— რაკი ჩვენი ზეჭუმანური გრძნობა, ამ ბოლო დროს რომ გაგვიჩნდა, დაკვლას არ გვანებებს, დავაბათ, ბატონო. გაწუწკებულს სხვაფრივ ვერ მოარჯულებ.

...ვიყუჩე. ადრეც ვიცოდი ამბროსი მახვილგონიერი კაცი რომ იყო და ასე იოლად ვერ გავუმკლავდებოდი.

— ერთი ამბავი, კიდევ. — თავისებურად, ჩაფიქრებით წამოიწყო ამბროსიმ.

— ქალაქში გახლდით ამას წინათ. შვილთაშვილი შემეძინა, პირველი. კაი ჯიშიანი გოგოა, რვა თვისაა უკვე... — ღმერთმა გაგიზარდოთ-მეთქი, ჩავურთე. მადლი მომახსენა და განაგრძო: ქუთუთოზე ცხიმის დაგროვება გაჩენია ბავშვს, არადა ნახატია, რომ შეხედავ. წაიყვანეს ექიმთან, ერთმა სამასი დოლარი მოსთხოვა ოპერაციაში, მეორემ — ხუთასი ლარი.

— სამწუხაროდ, ასეა ახლა...

— მომიტევეთ, — ოდნავი სიმკაცრე მოიშველია ბატონმა ამბროსიმ. — დიახაც, სამწუხაროა, რომ ასეა, მაგრამ არ უნდა იყოს ასე, — დაცინვა გაეპარა კილოში.

— ჰოდა, ეს რომ გავიგე, გამახსენდა ჩემი სიყრმის მეგობრის ქალიშვილი, ამ დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. ვიფიქრე, მივალ, ვკითხავ, მამამისს გავახსენებ-თქო. მივედი. შენ ხარ ჩემი ბატონი, მიცნო, თქვენ წარმოიდგინეთ, ღვთისნიერი ქალია. მამამისის შვილი არც შეიძლება სხვანაირი იყოს. გავუმხილე ჩემი გულისტკივილი, ბალანეს წიტის გაკვეთა ამდენი ფული არ უნდა ღირდეს-მეთქი.

— რა ვქნათ, ასეა ჩემო ბატონოო: ნახეთ, ერთი, საზღვარგარეთ რა ჯდება ამ სახის ოპერაციაო. გავშრი კაცი, არადა ოთარის (ასე ერქვა ჩემს მეგობარს) გოგოს რავა ვაკადრო საყვედური. ვატყობ, შეწუხებულია თვითონაც, ვერ შევბედე, ჩემო ბატონო, ვერ გავუმჟღავნე გულისტკივილი, არადა, შეიძლება კი საუკუნეთა მანძილზე ერთ წყობაზე მყოფ ქვეყანას გავუტოლოთ ჩვენი, უკაცრავად პასუხია და, ჩანასახში მყოფი ემბრიონი? იმათ რომ ვეზომებით, გვაქვს იმათი შესაძლებლობების მეასედიც?

რა ვქნა? რა ვუპასუხო? არადა, ვიცი, ამბროსი პირად შეურაცხყოფაში მიმითვლის უპასუხოდ დატოვებას. ან ის როგორ ავუხსნა, რომ ის დიდებული ქალბატონი უბრალო რომ არის მკურნალობის ფასების დადგენაში. ეს საკითხი ხომ ათასგზის შეჯერება-გადაწონის შემდეგ წყდება. სულ სხვაგვარი მოთხოვნებისა და გათვლის საფუძველზე?

— როგორ არის იცით?.. — დავიწყე ბორძიკი...

— ჩუ, ბიძიკო, ჩუ, — დამიყვავა ამბროსიმ, — არ იცი შენ როგორ არის და რა არის, შენ კი არა, მთელმა ქვეყანამ არ იცის და იმიტომაც არის აბორჯებული. ძნელია გამოსავლის პოვნა. არიადნეს ძაფიც რომ გეპყრას, მაინც რთულია იმ ლაბირინთებიდან გამოღწევა. ისე კი, მოგეცეს ლხენა, ზოგს თამაშთამაშად წარმოუდგენია ხელმწიფობა, თითოეულ ამათში თითო პრეზიდენტს ძინავს. მთელი სიცოცხლით თუ არა, სამი ხუთწლიანი ვადით მაინც. კონსტიტუცია რომ იძლეოდეს ამის საშუალებას, სხვა არაფერი შეუშლიდათ ხელს.

— შენ გენაცვალე, შენ, ამბროსი ბიძია! — წამოიძახა მკვირცხლთვალებიანმა ქალმა. არც კი ვიცი როდის მოგვიახლოვდა და საერთოდ, გვიგდებდა თუ არა ყურს.

— ყველა ამათში რომ პოტენციური ხელმწიფე ზის, კამათი არ უნდა ამას და ქვეყნის გაძღოლაც რომ ბრინჯის ფლავის ჭამა ჰგონიათ, იმასაც. მაგრამ ბალიმწარას ღელეში ბოგირი რომ არის ჩაქცეული და აგერ ორი წელია ავტობუსი ნახევარ სოფელში ვერ ადის, იმის შეკეთებისთვის ვერ მოუბიათ თავი.

საკითხმა კვლავ ჩოჩქოლი და აზრთა სხვაობა წამოჭრა, მაგრამ მე ამისთვის ყურისსაგდებად აღარ მეცალა. ცხადი იყო კოჭოლიას ავტობუსი უღვთოდ იგვიანებდა, არც ის იცოდა ვინმემ, ამოვიდოდა თუ არა საერთოდ.

მე კი რაიონში ადრე დილით ვიყავი ჩასასვლელი. იქნებოდა კი დილით ავტობუსი? ნაჩქარევად გამოვკვანძე აზრი: მომცრო ფუთა, ტკბილეულით, ამბროსისთვის გამეტანებია მამიდაჩემთან, თავად კი რაიონში დავბრუნებულიყავი.

ბატონი ამბროსი სიამოვნებით დამთანხმდა სამსახურს. ის კი ბრძანა, წამოსულიყავი კარგი იქნებოდა, თითო ჭიქას წავაქცევდითო.

დამშვიდობებისას ხელმეორედ გამანდო შეჭირვება.

— ვერ მითხარი, ბიძიკო, შენ მთავარი სათქმელი. არადა, ნამეტნავად მაინტერესებს, გვეშველება კი ვითომ რამე?

ხელზე ხელი მოვუჭირე, გავუღიმე და დავშორდი.

ის იყო ჩემი ავტობუსი რაიონულ ცენტრში უნდა შესულიყო, გვერდით მჯდომმა ბიჭმა, ადრე მოსაცდელში რომ შევნიშნე, მითხრა, აგერ კიჭოლიეს ავტობუსმა ჩაგვიარაო. მგონი ცას ვწვდი სიხარულით. გავხედე ბიჭს. იმასაც უხაროდა, ძალიან, ძალიან უხაროდა, რომ კიჭოლიეს ავტობუსი მომლოდინეთ მიუსწრებდა.

**დავით ასკურავა.**

---

პარალელისთვის

mfhsekb
[fcbfsbc
gfhfljmct,b

## ფურცელი № 4

ქართველისთვის ოდითგან მოყოლებული, როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, პირადობაა ბატონი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისელი მედუქნის საბაშვილის სამიკიტნოში მოხდა უცნაური შემთხვევა, რომელსაც იმჟამინდელი ელიტა-ბნელიტიდან ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა.

საქმე ის არის, რომ 1907 წელს, ილიას მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე, თბილისელი მედუქნის, გვარად საბაშვილის „რეზიდენციაში“ სასტიკად სცემეს ზაქარია ჭიჭინაძე. თავიდან შემეშინდა მისთვის დიდი ზაქარია მეწოდებინა, მერეღა მივხვდი, სხვანაირად წიგნიერ ქართველს ზაქარია ჭიჭინაძის გვარ-სახელი არაფერს ეუბნება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში ვინ არ იცნობდა ზაქარია ჭიჭინაძეს. აკაკი ბაქრაძეს თუ დავუჯერებთ, თავადი თუ აზნაური, მუშა თუ გლეხი, ყარაჩოღელი თუ კინტო, მდიდარი თუ ღარიბი, ქალი თუ ვაჟი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა მისი სიყვარულით თუ პატივისცემით იწვოდა. მაგრამ...

მაგრამ ვინმე საბაშვილის დუქანში ჯეელმა ბიჭებმა მე-19 საუკუნის დიდი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე ფეხქვეშ გაიგდეს.

დროა, მიზეზი ვთქვათ, ჩვენს ზედმეტად ინფორმირებულ და მესიჯებზე ორიენტირებულ საზოგადოებას უმჯობესია ფაქტებით ესაუბრო.

ეს ამბავი ასე იყო. საბაშვილის დუქანში შესულმა და ღვინოს მოწყურებულმა ზაქარია ჭიჭინაძემ ხელადა ღვინო, პური და ყველი ითხოვა თურმე, მარტო მიუჯდა მაგიდას და ფიქრებში წასული ნელნელა წრუპავდა ღვთის სასმელს.

ცოტა „დოპინგი“ რომ მიიღო, მერეღა მიაქცია ყურადღება დუქნის მოპირდაპირე მაგიდასთან მსხდომ ყმაწვილებს. ზაქარიასთვის ისინი ნაცნობები გამოდგნენ.

ბუნებრივია, დიდმა მწიგნობარმა უდღეგრძელებლად არ დატოვა ნაცნობი თანამეინახენი. იმათაც უპასუხეს, როგორც ბატონი აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, სმის იშტაზე მოსული ზაქარია ჭიჭინაძე არ ცხრებოდა თურმე, ჰყვებოდა ამ მთისას, იმ ბარისას, ცხადია, ყველაფერს ქართულს და ყველაფერზე ქართულად.

ბოლოს ყმაწვილებისათვის ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელო შეუთავაზებია. მათ ეს სადღეგრძელო არ მიუღიათ, შავრაზმელ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ არ ვადღეგრძელებთ, თუ ძალიან გაინტერესებთ, მალე მის მოკვლას ვაპირებთ და შესანდობარს გეახლებითო, — დაუცინიათ ზაქარიასათვის.

გონებადაბინდული ყმაწვილების ნაბოდვარზე გაგიჟებულ ზაქარიას მკაცრად შეუყვირია ყმაწვილებისთვის, გონს მოდით, ბეჩავებო, რაებს როშავთო!!.

მოქეიფე ყმაწვილებს წაუვლიათ ხელი ზაქარია ჭიჭინაძისთვის და ფეხქვეშ გაუგდიათ.

მედუქნე საბაშვილი, რომელსაც ყველაფერი გაუგია, წინ და უკან დარბოდა თურმე, გამწარებული ეხვეწებოდა თავგზადაბინდულ ყმაწვილებს — არ მოკლათ, პოლიცია დუქანს დამიხურავსო. ცხადია, მედუქნე საბაშვილის მუდარა არც არავის შეუსმენია. უცნობმა ყმაწვილებმა, ზაქარია ჭიჭინაძის მისიკვდილება რომ მოამთავრეს, ცოცხალმკვდარი მწიგნობარი სარდაფიდან გაათრიეს და ქუჩაში დააგდეს. ცოდვა გატეხილი სჯობს, ისევ მედუქნე საბაშვილი მიეშველა ქუჩაში დაგდებულ ზაქარია ჭიჭინაძეს. თუმცა ამ ინციდენტის მიზეზი არავის გაუგია.

რამდენიმე ხანში წიწამურთან გავარდნილმა ტყვიამ ილია ჭავჭავაძე იმსხვერპლა.

**გიგლა გოგეჩია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 212, ორშაბათი, 11 აგვისტო, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 11 აგვისტო

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.15** მხ. ფილმი "**დელფინები**" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** დოკ.სერიალი "ცეკვის ისტორია" **13.55** ოქროს მართვე **14.30** დოკ.სერიალი "**ავანტიურისტი მედიკოსები**" **15.15** მხ. ფილმი "**ბიჭები სტადიონზე**" **16.40** ტელესერიალი "**ძილის წინ**" **16.55** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20** 50 – 50 **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "ბენი ჰილი" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **20.00** მოამბე **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.45** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (ლ. ბეკოლი) **22.40** ტელესერიალი "**ძილის წინ**" **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი "**კონკია**".

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი "**რვაფეხა**" **20.30** ვმესტე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი "**მართლმსაჯულების მისია**".

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტ-ერული ომები" **09.40** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "**მეწამული ყვავილი**" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.55** სერიალი "**მაშველები**" **19.40** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **22.00** სერიალი "**ჯაშუში**" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი "**ჰუქონის ქორი**". მთ. რ-ში: ბრიუს უილისი, დენი აიელო.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "**40 დღე და 40 ღამე** " **10.20** მხ.ფ. "**ჯაშუშთა თამაშები**" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **20.30** მხ. ფილმი "**ჩემი ბიჭი**" **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**ადრენალ-ინი**" **01.30** ღამის ფილმი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "**იუდას ქალი**" 96-ე ს. **10.30** ლარის მახე **11.05** სერიალი "**იმპერია - ნოუბლ ჰაუზი**" მე-5 ს. **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "**ექიმი მარტა და მისი პაციენტები**" მე-21 ს. **13.30** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **14.05** სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-31 ს. **15.15** მხ. ფილმი "**მანიაკის კვალდაკვალ**" **17.25** "X კლუზივი" **18.05** სერიალი "**იუდას ქალი**" **19.30** სერიალი "**ექიმი მარტა და მისი პაციენტები**" **20.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **21.05** სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-32 ს. **23.00** სერიალი "**ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები**" **23.55** კინო-ნოსტალგია "**არლინგტონის გზა**"

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "**მარია ემილია**" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი "**მარია ემილია**" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "**შუქურა** " **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "**იურული პერიოდის პარკი**"

**12.00** ინდური მხ. ფილმი "**დივერსანტი**" **15.00** მხ. ფილმი "**კლდე**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორ-მაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**დიდიე**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**შიშველი პისტოლ-ეტი**" **22.30** მხ. ფილმი "**გზაჯვარედინი**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.00** ინდური მხ. ფილმი "**ბატონი 420**"

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "**შხეფები**" მთ. რ-ში ტომ ჰენკსი, დერილ ჰანა. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "**ნაძირალა კომიქსებიდან**" მთ.რ-ში დონალ ლოგი, მაიკლ რაპაპორტი. **01.40** "ღამურა" "**დაზიანება**" მთ.რ-ში ლორენ უინტერსი, ჯეიმს კორტნი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** მულტფილმი "აბა დამაცადე" **10.00** მხ. ფილმი "**სამყაროს ანგელოზები**" **11.40** მულტფილმი "ნამცეცა" **12.30, 17.20, 19.50** მუსიკა **12.40** მხ.სერიალი "**რუსი ამორძალები**" მე-8ს. **13.30** "ოსტატები"- მეფიტულე **13.45** "ბელისიმო" **14.15** "ჩემი ქვეყანა" - ილუზიონ-ისტი **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **15.50** მხ. ფილმი "**უკანასკნელი დარტყმა**" **17.50** სერიალი "**ყრმა სახელად იესო**" 1-ლი ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "**პოლიციელი ქალი**" 33-ე ს. **20.05** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი "**ციებ-ცხელება**" მე-26 ს. **22.00** გადაცემა "ღამის მატარებელი" **00.20** მხ.ფილმი "**დიდი"დენდრიჯი!**"

## სამშაბათი
### 12 აგვისტო

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "**კონკია**" **11.40** დოკ.სერიალი "ავიაშოუ" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერ-იალი "**ეშმაკუნა**" **13.00** ლერერის შოუ **14.00** სერიალი "**ძვირფასი მარიანა**" **15.15** მხ. ფილმი "**ჯონი – მნემონიკი**" **16.50** ტელესერიალი "**ძილის წინ**" **17.05** დოკ. სერიალი "ქვეყანა, ქვეყნები" **18.00** ვესტნიკი **18.15** დოკ. ფილმი "კრსკის" ბედისწერა" **19.10** ბასტი-ბუბუ **19.30** ტელეთ-ამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **21.50** "ჩვენი ფეხბურთი" **22.40** ტელესერიალი "**ძილის წინ**" **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი "**არამზადას სიკვდილი**".

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** მხ. ფილმი "**სიკვდილის ალმასი**" **21.10** დოკ. ფილმი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "**კაცია და ბუნება**"

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "**ჯაშუში**" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "**მაშველები**" **19.40** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **22.00** სერიალი "**კომისარი მონტალბანო**" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "**სექსი დიდ ქალაქში**" **00.40** მხ.ფილმი "**მკვლელობანას თამაში**". მთ. რ-ში: რობერტ კერედინი, ლინდა ჰემილტონი.

